

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა



ნინო ციციშვილი

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი

2019 წელი

## სარჩევი

აბრევიატურები:.....	4
შესავალი.....	5
<b>1. სტანდარტული პირობების არსი და გამოყენების მიზანი.....</b>	<b>6</b>
1.1 სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზება.....	6
1.2 რეგულატიური ვაკუუმის აღმოფხვრა.....	7
1.4 სამართლის განვითარება.....	8
1.5 სპეციფიკური ურთიერთობების რეგულირება.....	9
<b>2. სტანდარტული პირობების რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში</b>	<b>10</b>
2.1 სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის განმარტება.....	10
2.3 სტანდარტული პირობების სავალდებულო ნიშნები.....	11
2.4 პირობების დადგენა და გამოყენება პრაქტიკაში.....	13
2.5 სტანდარტული პირობები როგორც მომხმარებლის დაცვის საშუალება.....	14
2.5.1 სასამართლო პრაქტიკა.....	14
<b>3. ევროკავშირის მიზანი - ერთიანი ბაზრის შექმნა.....</b>	<b>16</b>
3.1 სტანდარტული პირობების გამოყენება სამომხმარებლო სფეროში.....	17
3.1.1 ევროკავშირის დირექტივები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.....	18
3.2 გერმანიაში გატარებული რეფორმების გავლენა სტანდარტული პირობების შესახებ არსებულ რეგულაციებზე.....	19
3.3 კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა სტანდარტულ პირობებთან მიმართებით.....	21
3.4 სასამართლო პრაქტიკა.....	22
3.5 სხვა ევროპული ქვეყნების რეგულაციები.....	24
<b>4. ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ის დებულებები საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ.....</b>	<b>25</b>
4.2 საქართველოს ძირითადი ვალდებულებები.....	27
<b>5. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება.....</b>	<b>28</b>
5.1 განმარტებასთან დაკავშირებით არსებული დოქტრინალური შეხედულებები.....	29
5.1.1 საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართება საერთაშორისო ნასყიდობის სამართალთან.....	29
5.2 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება.....	30
5.2.1 იმპერატიული ნიშნები.....	31
5.2.1.1 მხარის არარეზიდენტულობა.....	31

5.2.1.2 ეკონომიკური ჩვეულებები.....	32
5.2.1.3 სავალუტო დათქმა .....	33
5.2.2 ფაკულტატური ნიშნები .....	33
5.3 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებით დასარეგულირებელი ძირითად საკითხთა წრე .....	34
<b>6. სტანდარტული და მოდელური ხელშეკრულებები და მათი გამოყენების პრაქტიკული დანიშნულება .....</b>	<b>35</b>
6.1 ხელშეკრულებათა სტრუქტურა და სტანდარტული მუხლები.....	36
6.2 ხელშეკრულების ენა .....	37
6.2.1 განმარტება ხელშეკრულების შემდგენელის წინააღმდეგ.....	37
6.3 ფორს-მაჟორი .....	38
6.4 შესრულების გართულება .....	39
6.5 საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების გამოყენების შესახებ .....	40
<b>7. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიცირება .....</b>	<b>42</b>
7.1 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები.....	43
7.1 უნიდროას პრინციპები სტანდარტული პირობების შესახებ.....	44
7.1.1 სტანდარტული პირობების ცნება.....	44
7.1.2 უჩვეულო დებულებები.....	45
7.1.3 არსებითი პირობების უპირატესობა და სტანდარტული პირობების ჩართვა ხელშეკრულებაში .....	47
7.2 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები სტანდარტული პირობების შესახებ.....	47
7.3.1 პირობები ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე.....	48
7.3.2 შედარება უნიდროას პრინციპებთან.....	48
<b>8. სტანდარტული პირობების საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჩართვის გავრცელებული ფორმა .....</b>	<b>50</b>
8.1 ინტერნეტის საშუალებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.....	50
8.2 პრაქტიკული შემთხვევები.....	51
<b>დასკვნა .....</b>	<b>52</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>54</b>

## აბრევიატურები:

ე.წ. - ევრეთ წოდებული

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

წ. - წელი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

CJEU - Court of Justice of the European Union

TEU - Treaty on European Union

TFEU - Treaty on the Functioning of the European Union

DCFTA - Deep and Comprehensive Free Trade Area

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მნიშვნელობისა და გამოყენების წესის შესახებ ანალიზს. აღნიშნული თემით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმ სირთულეებმა, რომელიც ვლინდება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში სტანდარტული პირობების გამოყენებისას. საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება მას შემდეგ რაც, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას და დღის წესრიგში დადგა ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი. მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური და ბიზნეს-ურთიერთობების სწრაფი და მზარდი განვითარება თავის გავლენას ახდენს საქართველოზე. შესაბამისად უფრო და უფრო ხშირად იდება ისეთი ტიპის საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებები რომელიც სცილდება მხოლოდ ქართული სამართლის რეგულირების სფეროს და უცხო ქვეყნის სამართლისა და მიდგომების გათვალისწინება ხდება საჭირო.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ისტორია იწყება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიალიზაციის პერიოდიდან. საქონლისა და მომსახურების მასობრივ წარმოებაზე გადასვლამ ძირეულად შეცვალა ეკონომიკა და საზოგადოება. პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდასთან ერთად, წარმოიშვა მიწოდების მაშტაბის დარეგულირების აუცილებლობა, რასაც მოჰყვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შედგენა. მწარმოებლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სტანდარტული პირობების გამოყენება დაზოგავდა დროს და შესაბამისად გაზრდიდა მათ მოგებას, რადგან მოსახლეობაში წარმოიშვა მოთხოვნა იმ სახის საქონლის მიწოდებაზე, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა ხელშეკრულების გაფორმებას. ჩამოთვლილმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო სამეწარმეო სექტორში სტანდარტული პირობების გამოყენების სფეროს გაფართოებას. ამ დროიდან მოყოლებული, ბიზნესის მრავალ სფეროში მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება სტანდარტული პირობების გამოყენებით. გლობალიზაციის პროცესმა კი უნიფიცირებული სამართლის ნორმების მნიშვნელობა მეტად გაზარდა, რაზეც მიუთითებს 1966 წელს გაეროს XXI გენერალური ასამბლეის სესიაზე მიღებული რეზოლუცია, რომელიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (UNCITRAL) ჩამოყალიბებას, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს: „ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესს“.

განსახილველი თემის ფარგლებში შევხები სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სტანდარტული პირობები საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობაში და საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში ხშირად გამოყენებულ სტანდარტული მუხლები, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასევე ვისაუბრებ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე. ამ მიზნით უმეტესად მივმართავ შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო

კვლევა-ძიების პროცესში და შედეგები ამ ჭრილში მოვახდინო განსახილველი საკითხის კრიტიკული გაანალიზება. განხილული იქნება ევროკავშირის მიდგომები მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სტანდარტული პირობების შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან სწორედ ამ მიდგომების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ განსახილველი საკითხებისადმი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეიმჩნევა ანალიტიკური და მეცნიერული მასალების სიმცირე და აქტუალურობიდან გამომდინარე საჭიროებს სამართლებრივ დამუშავებას.

## 1. სტანდარტული პირობების არსი და გამოყენების მიზანი

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, როცა ყოველდღიურად მილიონობით ხელშეკრულება იდება მომხმარებელთან, წარმოუდგენელია, რომ ყოველ მათგანთან გაიმართოს ცალკე სახელშეკრულებო მოლაპარაკება და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება.<sup>1</sup> მხარეები ხელშეკრულების რთული და მასშტაბური პირობების განსაზღვრისა და ამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად სარგებლობენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებით. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გულისხმობს ერთგვაროვანი შინაარსის მქონე პირობებს, რომელთა გამოყენებაც ხდება მრავალჯერადად.<sup>2</sup> ისინი გამოიყენება ყველგან, სადაც არსებობს მრავალრიცხოვან კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა.<sup>3</sup> ცხადია, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებას აქვს გარკვეული მიზნები:

### 1.1 სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზება

ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი მიზანია სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზება. სტანდარტული პირობების გამოყენება ამარტივებს ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებას. ისინი ითვალისწინებენ შეთავაზებული საქონლის/მომსახურების თავისებურებებსა და ნათელს ჰყენენ იმ საკამათო საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის ნორმების გამოყენებისას.<sup>4</sup> მცირდება დროის დანახარჯი, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თითოეული დეტალის შესათანხმებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ლ.ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი ციტირება: სსკ-ის) კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 342, 180.

<sup>2</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.1 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>3</sup> ლ.ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 342, 181.

<sup>4</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.3 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>5</sup> იქვე.

სტანდარტული პირობების გამოყენება ეხმარება მხარეებს მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებაში თავიდანვე და საშუალებას აძლევს მათ, რომ ენერჯის ფოკუსირება მოახდინონ შეთანხმების იმ ნაწილზე, რომელიც შეკვეთების (იგულისხმება ნასყიდობის ხელშეკრულებები) სპეციფიკაციას ეხება. აღნიშნულის ხიბლი ისაა, რომ მხარეები შეთანხმებას აღწევენ ისეთ პირობებზე, რომელიც გარიგების შინაარსიდან გამომდინარეობს, რაც აადვილებს კონტრაქტის გაფორმების პროცესს.<sup>6</sup> ვფიქრობ, სწორედ სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზაცია წარმოადგებს სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში გათვალისწინების ერთ-ერთ უმთავრესს მიზანს, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისა და გლობალიზაციის პირობებში სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზნით სტანდარტული პირობების გამოყენება კი ხელშეკრულების ორივე მხარისთვის ხელსაყრელია: შემთავაზებლისთვის, როგორც მრავალჯერ გამოცდილი სამართალურთიერთობის დამყარების გზას, ხოლო კლიენტისთვის, როგორც სხვა კლიენტების მიერ არაერთგზის არჩეული პირობები.

## 1.2 რეგულატიური ვაკუუმის აღმოფხვრა

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, გარდა ზემოაღნიშნულისა, არაერთ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, მათ შორის არის, რეგულატიური ვაკუუმის აღმოფხვრა.<sup>7</sup> სამოქალაქო ბრუნვაში ვხვდებით ისეთ ხელშეკრულებებს, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი შეიძლება პირდაპირ არ ითვალისწინებდეს, თუმცა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან<sup>8</sup> გამომდინარე არ კრძალავს მის არსებობას. ასევე ისეთ ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსისთვის ცნობილ რამოდენიმე ხელშეკრულების ნაზავს, ვფიქრობ აქედან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად შესაძლებელია მივიჩნიოთ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ სამართალურთიერთობას: „სესხი უზრუნველყოფილი იპოთეკით“, მაშინ როდესაც სესხის ხელშეკრულებას ცალკეული მუხლები აწესრიგებს, ხოლო იპოთეკისას კი სხვა - ეს ორი ხშირად გაერთიანებული სახით წარმოგვიდგება „...ისევე როგორც ატიპიური თუ შერეული ხელშეკრულებების რეგულატიური ბირთვი იქმნება და ვითარდება სტანდარტული პირობების მეშვეობით.“<sup>9</sup> აუცილებელია არსებობდეს იმის შესაძლებლობა რომ მხარეებმა ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშაონ ისეთი ტიპის რეგულაციები, რასაც კანონი არ ითვალისწინებს. თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ფართო მასშტაბით გამოიყენება.<sup>10</sup>

<sup>6</sup> M. Johnson, Rocket Lawyer Legal Editor, Terms and conditions, 2018, 1.

<sup>7</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.4 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>8</sup> სსკ მუხლი 319.

<sup>9</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.4 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>10</sup> ი.კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემგომი ციტირება: გსკ), სასწავლო კომენტარი, § 305, თარგმანი: ზ. ჭეჭელაშვილი, 2014, 184 და მომდევნო გვერდები.

### 1.3 რისკის გადაკისრება

სამოქალაქო გარიგებების დადებისას, ხელშეკრულების მხარეები ორიენტირებულნი არიან, რომ მაქსიმალურად შეზღუდონ საკუთარი პასუხისმგებლობა, გასაკვირი არაა, რომ ამას განსაკუთრებით ცდილობდეს ის მხარე, რომელსაც ხელშეკრულების პირობების შედგენის პრივილეგია გააჩნია. პრაქტიკულად ყოველი სტანდარტული პირობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება იმ მიზნით, რომ გაამყაროს მისი შემთავაზებლის პოზიციები მეორე მხარის პოზიციების ხარჯზე.<sup>11</sup> “რისკის ამ დაუბალანსებელი გადანაწილების მიუხედავად, შემთავაზებელი, როგორც წესი, უპრობლემოდ ახერხებს სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევას, რადგან კლიენტი, ჩვეულებრივ, იღებს სტანდარტულ პირობას ისე, რომ არ ეცნობა მას. ის, ან ვერ აცნობიერებს სტანდარტული პირობების რეალურ შინაარსსა და მნიშვნელობას, ან თავს იმით იმშვიდებს, რომ ამ პირობების ამოქმედება ნაკლებ სავარაუდოა და თავიდან იცილებს ჩამნაცვლებელი რეგულაციების შექმნასთან დაკავშირებულ (დროისა თუ ფულად) ხარჯებს (სტანდარტული პირობების დეტალურად წაკითხვა, სხვა პირობებთან შედარება, სამართლებრივის კონსულტაციის მიღება, საწინააღმდეგო პირობების ჩამოყალიბება და ა. შ.)”<sup>12</sup> კლიენტი უმეტესად ორიენტირებულია ფასზე და არა სტანდარტულ პირობებზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებელია სტანდარტული პირობების გათვალისწინებით უფრო დიდ ტვირთს აკისრებდეს კლიენტს ვიდრე მაღალფასიანი შეთავაზება.

### 1.4 სამართლის განვითარება

შეუძლებელია კანონმდებელი ისეთი შორსმჭვრეტელი იყოს, რომ შეძლოს ნორმებში ყველა ტიპის სამოქალაქო გარიგებას ასახავა. ქართული სახელშეკრულებო სამართლის ნორმები მოიცავს ისეთ დებულებებს, რომელიც პირდაპირ, იმპერატიულად განსაზღვრავს კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების შემთხვევებს, თუმცა მეორე მხრივ სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს, რომ მხარეებს სამოქალაქო ტიპის გარიგებების დადებისას, შეუძლიათ ყველა პირობის გათვალისწინება, რომელიც შეიძლება კოდექსში არ იყოს მითითებული, თუმცა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. მეცნიერულ წინსვლასა და ტექნოლოგიების განვითარებას სამართლებრივი ნორმების მოდიფიკაციაც მოსდევს თან. სტანდარტული პირობები აყალიბებენ უფრო მოქნილ რეგულაციებს, რომლებიც უკეთესად გამოხატავენ მხარის ინტერესებს.<sup>13</sup>

<sup>11</sup> გ. რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.4 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>12</sup> Basedow, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 305 Rn. 5. ციტირებულია: გ. რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 5. (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>13</sup> Heinrichs, in Palandt BGB Komm. 70. Aufl. 2011, Vor §§ 305 ff. Rn.5. ციტირებულია: გ. რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 4. (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).



შესაბამისად ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელობას უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ტექნოლოგიური განვითარება და წინსვლა, თავისთავად იწვევს ისეთი გარიგებების წარმოშობას, რომელთაც უწინ არ უარსებია, სწორედ ამიტომ კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებდა აღნიშნულის მომწესრიგებელ სამართლის ნორმებს, თუმცა ზოგად პრინციპზე დაყრდნობით შემთავაზებელი ადგენს ისეთ სტანდარტულ პირობებს, რომელიც მოიცავს „ახალი ტიპის“ სამოქალაქო გარიგების შესახებ დათქმებს.

### 1.5 სპეციფიკური ურთიერთობების რეგულირება

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელშეკრულების სტანდარტული (წინასწარ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული) პირობები განსაკუთრებულ მისიას ასრულებს, შესასრულებელ სამუშაოსთან ან/და საქონელთან მიმართებაში, როდესაც სახეზე გვაქვს სპეციფიკური სახის სამართლებრივი ურთიერთობები. ეს როლი კი არის კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი მიდგომა არსებობს ამ კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. მეტი სიცხადისთვის, კონკრეტულ მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი: სავარაუდოა, რომ როდესაც პირი ხელშეკრულებას დებს ინტერნეტის მომწოდებელ კომპანიასთან, მისი მიზანია მომსახურების მიღება საფასურის გადახდის სანაცვლოდ და ხელშეკრულების დადებამდე შეიძლება არც ითვალისწინებდეს ისეთ ტექნიკურ ნიუანსებს რაც ამ სახის მომსახურებისთვის არის დამახასიათებელი. Lupton Fawcett<sup>14</sup>-ში სტანდარტული პირობების მნიშვნელობას შემდეგნაირად ახასიათებენ: კარგად შემუშავებული სტანდარტული პირობები მიმართულია უპირველესად იმისკენ, თუ რა სპეციფიკით მუშაობს ბიზნესი და რა არის მისი საქმიანობის მთავარი მისია. ბიზნესის მრავალ სფეროში (როგორც არის, მაგალითად, სადაზღვეო, სატრანსპორტო და საბანკო სფეროები) მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება სტანდარტული პირობების გამოყენებით, რომელიც წინასწარ, მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა შემუშავებული ერთი მხარის მიერ.<sup>15</sup> ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტული პირობები მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს ხელშეკრულების დადებისას, თუმცა არის მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც სწორედ სტანდარტული პირობები ხდება დავის საგანი.<sup>16</sup> მიუხედავად ამისა, ე.წ „ჩარჩო ხელშეკრულებების“ გარეშე ბიზნეს სექტორის საქმიანობა მრავალ პრობლემატურ საკითხთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ ტიპის ხელშეკრულებების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საბანკო ხელშეკრულებები. ერთიანი სტანდარტული პირობების წინასწარ ჩამოყალიბება აუცილებელია საბანკო ურთიერთობის მხარეებს შორის.<sup>17</sup>

<sup>14</sup> ბრიტანული იურიდიული კომპანია.

<sup>15</sup> Wayne R. Barnes, Toward a Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection 211(3), Washington Law Review 82:227, 2007, 235.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> M. Lubber, The Law of Contracts, Key aspects of German business law, 2016, 67-81, 80.

## 2. სტანდარტული პირობების რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

საქართველოს კანონმდებლობაში, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, ამ საკითხის რეგულაცია მოქცეულია 342-348-ე მუხლებში. ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე “არსებობს რისკი, რომ შემთავაზებლის სამართლებრივი პოზიცია მეორე მხარესთან შედარებით არაპროპორციულად გაძლიერდება და ფაქტობრივად შეილახება მეორე მხარის უფლება, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს გარიგებები და განსაზღვროს ამ გარიგებათა შინაარსი.”<sup>18</sup> ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა. ამ პირობების მოქმედება განპირობებულია ხელშეკრულების ნაწილად ქცევით და მათი გამოყენება წარმოადგენს შემთავაზებლის კერძო ავტონომიის ნაწილს,<sup>19</sup> სწორედ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებებია რისკის მატარებელი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მარეგულირებელი ნორმები სწორედ ამ ტიპის შემთხვევების თავიდან აცილებას ან/და რეგულირებას ისახავს მიზნად და სწორედ აქ ვლინდება სოციალური სახელმწიფოს ფუნქციაც: 342-248-ე მუხლები უმეტესად ყურადღებას უთმობენ სტანდარტული პირობების მიმღები მხარის დაცვას და ამისათვის აფუძნებენ დაცვის ორსაფეხურიან პროცედურას. პირველი მათგანი არის ე.წ. ფორმალური მხარე (საფეხური), რომელიც გულისხმობს იმის შემოწმებას, კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნა თუ არა პირობა შეტანილი ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ. მეორე კი არის ე.წ. მატერიალური მხარე, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ პირობა კანონის მოთხოვნათა დაცვით არის შეტანილი ხელშეკრულებაში, მოითხოვს სტანდარტული პირობის შინაარსის შეფასებას.<sup>20</sup>

### 2.1 სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის განმარტება

იქამდე, სანამ დაიწყება პირობის ფორმალური და მატერიალური მხარეების შემოწმება, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს შეიძლება თუ არა კონკრეტული პირობა ჩაითვალოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად სამოქალაქო კოდექსის გაგებით. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელი პირობები უნდა იქნეს მიჩნეული სტანდარტულად სსკ-ის მიხედვით. როგორც ყველა სხვა სამართლებრივ ინსტიტუტზე საუბრისას, ასევე ამ შემთხვევაშიც უმჯობესი იქნება ზუსტად განიმარტოს სტანდარტული პირობების ცნება. სტანდარტული პირობა პირველ რიგში წარმოადგებს სახელშეკრულებო პირო-

<sup>18</sup>გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.7 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>19</sup>Canaris, Gesamtnunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff (1990), 548. ციტირებულია: გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 8, (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>20</sup>დ.კაკოიშვილი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, II გამოცემა, 2013, 73.

ბას, ანუ მიმართულია ხელშეკრულების შინაარსის მოწესრიგებისაკენ - შეიცავს წესს, რომლის მიხედვითაც ხდება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის კონსტრუირება.<sup>21</sup> სტანდარტული პირობა არის ნებისმიერი დათქმა, რომელიც განსაზღვრავს მხარის ნებისმიერი სახის (როგორც დამატებითი, ასევე ძირითად<sup>22</sup>) ვალდებულებას. პირობები ითვლება წინასწარ ჩამოყალიბებულად, თუ ისინი მრავალჯერადი გამოყენებისთვის წერილობითი ფორმით ან სხვაგვარად<sup>23</sup> არის დაფიქსირებული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამგვარი პირობები შეიძლება მივიჩნიოთ სტანდარტულ პირობებად, შესაძლოა ასეთი პირობა ზეპირადაც ჩამოყალიბოს შემთავაზებელმა. მთავარია შემთავაზებელი წინასწარ განსაზღვრავდეს შინაარსს და ჰქონდეს განზრახვა მრავალჯერადად გამოყენების, გარდა ამისა, სტანდარტული პირობები უნდა ადგენდეს კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესებს. 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ მიიჩნევს სტანდარტულ პირობებად ისეთ პირობას, რომელიც მხარეების მიმართ დეტალურად არის განსაზღვრული და შეთანხმებული.

### 2.3 სტანდარტული პირობების სავალდებულო ნიშნები

თითქმის ყველა კომპანია იყენებს სტანდარტული პირობებით „აწყობილ“ ხელშეკრულებებს, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია თქმა, რომ ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი ყოველთვის სტანდარტული პირობების გამოყენებით დგება, განსაკუთრებით ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას. ბოლო დროს ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ხელშეკრულებების 99% სტანდარტული სახელშეკრულებო ფორმის და პირობების გამოყენებით იდება.<sup>24</sup> იმისათვის, რომ პირობა მიჩნეულ იქნეს სტანდარტულ პირობად, უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე სავალდებულო ნიშანს:

- სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები;
  - სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები;
  - მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები;
  - ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს;
  - სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესები დადგენა.<sup>25</sup>
- უდავოა, რომ ერთი და იმავე სახის მომსახურებას გაწევსას, ხელშეკრულების

<sup>21</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.10 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>22</sup> იქვე პარ.10.

<sup>23</sup> ილინიოსის შტატის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სტანდარტულ პირობის ხელშეკრულებაში ჩართვად მიიჩნია მასში დატანილი ელექტრონულ ბმული (იხ. გვ.50).

<sup>24</sup> W.R.Barnes, Toward a Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection 211(3), 2007, 233.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 სექტემბრის Nას-755-811-2011 გადაწყვეტილება. (<http://www.supremecourt.ge>).

პირობები არ საჭიროებს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას, თუმცა აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს სამართლებრივ ჩარჩოებს. აქედან გამომდინარე ჩამოთვლილი ნიშნები არის კუმულატიური ხასიათის მატარებელი და ყოველი პირობის ერთობლივად არსებობა აუცილებელი სახელშეკრულებო პირობის სტანდარტულ პირობად მიჩნევისათვის და რომელიმე მათგანის არარსებობა ავტომატურად გამორიცხავს სტანდარტულ პირობად აღიარების შესაძლებლობას.<sup>26</sup> ზემოჩამოთვლილი ნიშნებიდან პირველი გულისხმობს, რომ სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა და ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს. არ განიხილება ხელშეკრულებისგან განცალკევებულ ნაწილად, თუნდაც ტექნიკურად არსებობდეს ხელშეკრულებისგან განცალკევებულად.<sup>27</sup> (მაგალითად ვებ-გვერდზე განთავსებული სტანდარტული პირობები, როცა ამაზე არის სპეციალური მითითება ხელშეკრულებაში).

რაც შეეხება მეორე ნიშანს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ ყალიბდება მოლაპარაკების პროცესში, არამედ იგი შემუშავებულია გამომყენებლის (შემთავაზებლის) მიერ წინასწარ ყველა მომხმარებლისთვის სტანდარტული ფორმით და არა ინდივიდუალურად. როგორც წესი, სამომხმარებლო ურთიერთობებში მეწარმე სუბიექტები იყენებენ უფლებამოსილებას, რომ ისარგებლონ წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო ფორმულარებით. რაც მარტივი გადაწყვეტაა ბიზნესისთვის, რადგან ხდება ყველა პირობების გაწერა, რაც ხელშეკრულების დასადებადაა საჭირო, გარდა კონტრაქტის რეკვიზიტებისა. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულებები ხელმოსაწერადაა გამზადებული და სტანდარტული პირობების მიმღებ მხარეს ესაჭიროება მხოლოდ მათი გაცნობა და ხელმოწერით თავისი თანხმობის დადასტურება.<sup>28</sup>

მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული - ეს არ ნიშნავს იმას რომ თუ პირველად იყენებს სტანდარტულ პირობებს შემთავაზებელი ეს არ ჩაითვლება სტანდარტულ პირობად, მთავარია რომ მიზანი იყოს მრავალჯერადი გამოყენება. აქ საუბარია არა ვალდებულებაზე, არამედ მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობაზე.<sup>29</sup>

სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე უნდა უდგენდეს მეორეს - ანუ შინაარსი დადგენილია მხოლოდ შემთავაზებლის მიერ, სწორედ ამის გამოძახილია 345-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც ტექსტის ბუნდოვანებისას მისი განმარტება ხდება მეორე მხარის სასარგებლოდ. ხელშეკრულების მეორე მხარეს არ აქვს საშუალება შეცვალოს პირობები, იგი ან უნდა დათანხმდეს ან უარი უნდა თქვას ხელშეკრულებაზე (ე.წ. "Take it, or leave it" პრინციპი) შესაბამისად ხელშეკრულება მისი გულდასმითი გაანალიზების გარეშე შედის ძალაში.<sup>30</sup> ამიტომ კანონმდებელმა

<sup>26</sup>ლ.ცერცვაძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 204.

<sup>27</sup> იქვე, 204.

<sup>28</sup> ზ.ჭკელიაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, 105.

<sup>29</sup> ლ.ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 342, 184.

<sup>30</sup> T.Zerres, Principals of the German Law on Standard Terms of Contract, (www.jurawelt.com).

უნდა უზრუნველყოს სუსტი მხარის კაბალური პირობებისგან დაცვა. დაბოლოს, სტანდარტული პირობები ჩვეულებრივ ისეთ წესებს შეიცავს, რომლებიც ხშირად არ არის გათვალისწინებული კანონში და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავს. მაგალითად, სუპერმარკეტი თავის მომხმარებელს სტანდარტული პირობით აფრთხილებს, რომ „შემნილი საკვები პროდუქტების დაბრუნება დაუშვებელია“. ამგვარ დანაწესებს კანონი არ შეიცავს, მაგრამ მხარეს შეუძლია ისინი გაითვალისწინოს სტანდარტული პირობებით.<sup>31</sup> სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შინაარსის შემადგენელია და არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, ხელშეკრულების რომელ ნაწილს ეხება ეს პირობები: ფასს, შესრულების ადგილს თუ სხვა რამეს<sup>32</sup> მთავარია ზემოაღნიშნულ პირობას აკმაყოფილებდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტული პირობებით “შესაძლებელია მხოლოდ კანონის დისპოზიციური ნორმებისაგან განსხვავებული ან/და შემაჯავებელი წესების დადგენა და არა კანონსაწინააღმდეგო, რადგან, თუ პირობაში გაცხადებული წესები კანონის იმპერატიულ ნორმებს შეეწინააღმდეგება, მაშინ ის ბათილი იქნება.”<sup>33</sup>

## 2.4 პირობების დადგენა და გამოყენება პრაქტიკაში

სტანდარტული პირობების შემთავაზებელი შეიძლება იყოს როგორც სერვისის/პროდუქციის მიმწოდებელი ასევე მომხმარებელი. მართალია კანონმდებლობით ორივე შემთხვევა მისაღებია, თუმცა პრაქტიკაში იშვიათად ხდება როდესაც სტანდარტულ პირობებს მომხმარებელი განსაზღვრავს, განსაკუთრებით კი დიდ ორგანიზაციებთან მიმართებაში, არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ სხვა მეწარმეებსაც კი არ აქვთ საშუალება თავად შესთავაზონ სტანდარტული პირობები. მაგალითად, ბანკები და სადაზღვეო კომპანიები ყოველთვის იყენებენ საკუთარ სტანდარტულ პირობებს და ხშირ შემთხვევაში ძნელია კიდევ ამ პირობებში რაიმე ცვლილების შეტანა, რადგან უმეტესად საერთო პროფილისა და საქმიანობის კომპანიები იდენტურ პირობებს სთავაზობენ მომხმარებლებს. მხარეთა მოლაპარაკების შედეგად განსაზღვრული პირობები არ მიიჩნევა ხელშეკრულების პირობებად, თუმცა აქ არ იგულისხმება უმნიშვნელო ცვლილება ფორმულირებაში, თუ შინაარსობრივი ბირთვი უცვლელი რჩება.<sup>34</sup> აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად შევეცადე შემედარებინა ერთმანეთისთვის ორი კომერციული ბანკის სტანდარტული პირობები სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და დასკვნის სახით დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ შინაარსობრივი კუთხით სტანდარტული პირობები ორივე შემთხვევაში იდენტური იყო და ძირითადად, ისიც

<sup>31</sup> ლ. ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 184-185.

<sup>32</sup> იქვე, 182.

<sup>33</sup> იქვე, 185.

<sup>34</sup> OLG Düsseldorf NZG 1998, 353. ციტირებულია: გ. რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 24, (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

უმნიშვნელო განსხვავებები, წინადადების წყობისა და სხვა ფორმალურ ნაწილში იკვეთებოდა.<sup>35</sup> სწორედ ეს ფაქტი ამყარებს იმ არგუმენტს, რომ საერთო პროფილის მქონე კომპანიები სარგებლობენ ერთი და იმავე სტანდარტული პირობებით, რაც თავის მხრივ მომხმარებელს დასაცავად საჭიროებს დამატებითი გარანტიებს საკანონმდებლო კუთხით.

## 2.5 სტანდარტული პირობები როგორც მომხმარებლის დაცვის საშუალება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია იმის აღნიშვნა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი ნორმები ემსახურება მომხმარებელთა დაცვას. მომხმარებლის განმარტებას მართალია არ იძლევა სამოქალაქო კოდექსი<sup>36</sup> თუმცა სავარაუდოა, რომ მომხმარებელად უნდა მივიჩნიოთ ის ვინც არ ეწევა ბიზნეს საქმიანობას და არ აქვს საშუალება დეტალურად გაეცნოს და გააცნობიეროს ხელშეკრულების პირობების დანაწესები.<sup>37</sup> სსკ ადგენს სტანდარტული პირობების ლეგიტიმაციის წინაპირობებს 343-ე მუხლით, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც პირობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების ნაწილად. ესენია: თვალსაჩინოდ განთავსების და პირობების გაცნობის შესაძლებლობა; კოდექსი ასევე განსაზღვრავს რომ ბუნდოვანებისას განმარტება ცალსახად მეორე მხარის სასარგებლოდ ხდება. დაბოლოს, ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლისათვის ითვალისწინებს როგორც ზოგად წესს (სსკ-ის 346-ე მუხლი), ისე აკრძალული პირობების კონკრეტულ კატალოგს (347-ე და 348-3 მუხლები).<sup>38</sup>

### 2.5.1 სასამართლო პრაქტიკა

346-348-ე მუხლებში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ის დებულებები, რომლებიც, ხელშეკრულებაში ჩართვის მიუხედავად, ბათილად უნდა ჩაითვალოს.

<sup>35</sup> იხ. სს „საქართველოს ბანკი“-ს საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელმისაწვდომია საიტზე: [https://bankofgeorgia.ge/retail/m/u/ck/files/sakredito\\_khelshekrulebis\\_danarti\\_1-sakredito\\_khelshekrulebis\\_standartuli\\_pirobebi.pdf](https://bankofgeorgia.ge/retail/m/u/ck/files/sakredito_khelshekrulebis_danarti_1-sakredito_khelshekrulebis_standartuli_pirobebi.pdf) და სს „თი ბი სი“ ბანკის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.tbcbank.ge/web/documents/> ვიზიტის დრო: 30/06/2019).

<sup>36</sup> ტერმინს „მომხმარებელი“ ვხვდებით მხოლოდ სსკ-ის 336-ე მუხლში სადაც საუბარის ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე და სსკ-ის 871-ე მუხლში, რომელიც ეხება საბანკო კრედიტის შეწყვეტას; ასევე 1996 წლის „საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მომხმარებელს განმარტავს, როგორც: „პირადი საჭიროებისათვის საქონლის/სამუშაოს, მომსახურების/ გამოყენებელი, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. კანონი ძალადაკარგულია 2012 წლიდან, რამდენიმე წელია მიმდინარეობს მსჯელობა ევროპული სტანდარტების შესაბამისი რეგულაციის მიღებაზე, რაც ჯერ-ჯერობით არ მომხდარა (საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, მიღების თარიღი 20/03/1996, ძალის დაკარგვის თარიღი 25/05/2012).

<sup>37</sup> ლ.ცერცვაძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 207.

<sup>38</sup> დ.კაკოიშვილი, ქართული ბიზნეს სამართლის მომხილვა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, II გამოცემა, 2013, 80.



346-ე მუხლი წარმოადგენს შინაარსის კონტროლის ზოგად ნორმას და 347 და 348-ე მუხლებისგან განსხვავებით მხოლოდ ეს მუხლი ვრცელდება მომხმარებელსა და მეწარმეზე; მეწარმეთა შორის ურთიერთობაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემოწმება მხოლოდ 346-ე მუხლის მიხედვით უნდა მოხდეს.<sup>39</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივლისის განჩინებაში სადაც მოპასუხე წარმოადგენდა ერთ-ერთ საზოგადოდ ცნობილ ბანკს, რომელიც სასამართლოს შეფასებით ფლობდა საკმარის რესურსს ხელშეკრულების დადებისას კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის მისაღებად (აღნიშნულია, რომ იგი არის სოლიდური რესურსის მქონე სუბიექტი მოსარჩელე ფიზიკურ პირთან შედარებით) სასამართლომ საქმეში მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში მიიჩნია და არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა, რომელიც ითხოვდა სტანდარტული პირობის გაუქმებას არაკეთილსინდისიერებაზე მითითებით სსკ-ის 346-ე მუხლის შესაბამისად;<sup>40</sup> რაც საგულისხმოა, რომ ნამდვილად წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს მომხმარებლის, როგორც ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უარყოფითი გავლენისგან დაცვის კუთხით.

ხელშეკრულების სუბიექტის მეწარმედ ან/და მომხმარებლად კვალიფიკაციის მნიშვნელობაზე ასევე მეტყველებს სუს-ის 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-938-903-2016)<sup>41</sup> სადაც საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის სამართლებრივ შედავებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის დადებული იჯარისა და აღნაგობის ხელშეკრულებები უნდა განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლით განსაზღვრულ სტანდარტული პირობებით დადებულ ხელშეკრულებებად, რამდენადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ამ ნორმის სუბიექტს არ წარმოადგენს. არ შეიძლება მისი ყოველდღიური საქმიანობის საგნად იქნას მიჩნეული იჯარისა და აღნაგობის ხელშეკრულებების დადება, რადგანაც სტანდარტული პირობები გამოიყენება ყველგან, სადაც არსებობს მრავალრიცხოვან მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობა და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს. ნორმის სუბიექტუნარიანობიდან გამომდინარე, კასატორის პოზიციის გამართლებად ვერ იქნება მიჩნეული ის გარემოება, რომ გარიგების მეორე მხარე წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტს.

სსკ-ის 346-ე მუხლიდან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანაზღაურებისთვის, საინტერესოა სუს-ის 2018 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება<sup>42</sup>

<sup>39</sup>გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 342, პარ.23 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>40</sup>განჩინება გასაჩივრებულ იქნა საკასაციო სასამართლოში და საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და შესაბამისად დარჩა განუხილოველად დაუშვებლობის გამო. (სუსგ 2011 წლის 14 ნოემბერი საქმე №ას-1225-1245-2011, <http://prg.supremecourt.ge>)

<sup>41</sup>სუსგ 2017 წლის 5 მაისის საქმე №ას-938-903-2016 (<http://prg.supremecourt.ge>)

<sup>42</sup>სუსგ 2018 წლის 12 ნოემბერი საქმე №ას-1064-2018 (<http://prg.supremecourt.ge>)

სადაც სააკელაციო სასამართლომ დაადგინა ნორმის წინაღობა კეთილსინდისიერების პრინციპთან და უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატა დაეთანხმა მის დასაბუთებას: განსახილველი შემთხვევა ეხებოდა გადახდილი თანხის დაუბრუნებლობას, როგორც პირგასამტეხლოს დაკისრებას. საქმის მასალებით დადგინდა, რომ დათქმა წარმოადგენდა მხარისთვის აშკარად საზიანო პირობას, რაც უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებდა მას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან წინასწარ გადახდილი იმ თანხის დაუბრუნებლობა, რომლის სანაცვლოდ მომსახურებაც არ გაწეულა, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობაა და იგი საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. მხარეებს შორის ხელშეკრულების სადავო პუნქტი არ წარმოადგენს შეთანხმებას პირგასამტეხლოზე, სასამართლომ ის უნდა განიხილოს როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც მხარეს გარკვეულ შეზღუდვას უწყებს. რადგან სტანდარტული პირობა ამკვიდრებს რა ქცევის ზოგად სტანდარტს, კონტრაქტისთვის მარტივად და გონივრულად სავარაუდოა რომ არ შეიცავს ზოგადისგან განსხვავებულ, მოულოდნელ და უჩვეულო დათქმებს. განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელისთვის არ შეიძლებოდა სავარაუდო ყოფილიყო ის გარემოება, რომ იგი ვერ დაიბრუნებდა იმ თანხას, რომელიც მომსახურებაში გადაიხადა, მაგრამ მომსახურება ვერ/არ მიიღო, ე.ი. დგინდება, რომ ხელშეკრულების სადავო პუნქტი არათუ არ წარმოადგენს შეთანხმებას პირგასამტეხლოს თაობაზე, არამედ იგი ბათილია მისი ბუნდოვანი, ალოგიკური შინაარსის გამოც.

### 3. ევროკავშირის მიზანი - ერთიანი ბაზრის შექმნა

ევროკავშირიში 50-წლიანი გაფართოების პერიოდის განმავლობაში წევრმა ქვეყნებმა ერთად ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა. გაერთიანება მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. ევროკავშირის ძირითადი ხელშეკრულება და ერთგვარი კონსტიტუციური ბაზისი, უპირატესი და უმთავრესი კონსტიტუციური ძალის მქონე საკანონმდებლო საფუძვლები ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის არის ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ (TFEU)<sup>43</sup> და ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (TEU).<sup>44</sup>

<sup>43</sup> ევროკავშირის კონსტიტუციის როლს ასრულებს ლისაბონის 2007 წლის სამიტზე ხელმოწერილი ორი თანაბარი იურიდიული ძალის ხელშეკრულება: The Treaty on the Functioning of the European Union (TFEU) და The Treaty on European Union (TEU). ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ ურთიერთობებს არეგულირებს, თუმცა ერთმანეთს ავსებს და ევროკავშირის კონსტიტუციური სამართლის ნაწილად მიიჩნევა (ხელმისაწვდომია საიტზე: <https://eur-lex.europa.eu>)

<sup>44</sup> ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისგან განსხვავებით, შეიძლება განვმარტოთ, როგორც ზოგადი კონსტიტუციური ნაწილი. იგი აყალიბებს კავშირის კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპების სისტემას, მართვის პრინციპებს და ფუნდამენტურ დებულებებს



ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნა, რაც გულისხმობს ოთხი ფუნდამენტური უფლების: საქონლის, მოსახლეობის, სერვისისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის, ბაზარზე თანაბარი პირობების დამკვიდრებისთვის და რესურსების ეფექტურად განთავსებისთვის ძირითადი ნორმები განთავსებულია TFEU-ში, რის შესახებაც ქვევით უფრო ვრცლად ვისაუბრებ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან და საფრთხეებთან. ეს საფრთხეები კი უმეტესად რეალიზდება მაშინ, როდესაც სტანდარტული პირობების გამოყენება ხორციელდება სამომხმარებლო სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ დასავლეთის ქვეყნებში ამ პირობათა გამოყენების წესები ცალკე კანონებითაა მოწესრიგებული.<sup>45</sup> ხოლო ევროკავშირს წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებული აქვს სპეციალური დირექტივები საერთაშორისო ვაჭრობის სფეროს ჰარმონიზაციისთვის, რაც არა მარტო მომხმარებელს იცავს, არამედ ბიზნეს სექტორსაც.<sup>46</sup> ევროგაერთიანების ხელშეკრულების 153-ე მუხლის მიხედვით, მომხმარებელთა უფლებების განვითარებისა და მათი დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას, ასევე, მომხმარებელთა უფლებების განვითარებას ინფორმაციასა და განათლებასთან მიმართებით, ასევე, მომხმარებელთა კავშირების ჩამოყალიბებას მათი ინტერესების დაცვის მიზნით.<sup>47</sup>

### 3.1 სტანდარტული პირობების გამოყენება სამომხმარებლო სფეროში

სამომხმარებლო კანონმდებლობაში საკმაოდ დიდია მგრძობელობა მომხმარებლისადმი და მათი დაცვა განსაკუთრებული პრიორიტეტის საგანია.<sup>48</sup> ევროკავშირში დიდი ხანი დუმდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა შორის ფინანსური და უფლებრივი უთანაბრობის ფაქტზე, რაც უყურადღებოდ ტოვებდა სამომხმარებლო სფეროს განვითარებას, თუმცა ბოლოს აღიარებულ იქნა, რომ ეკონომიკური უთანაბრობა მეტწილად წარმოდგენილია ყველაზე ფართოდ გავრცელებულ გარიგებებში, ანუ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში, სადაც ცხადია სუბიექტები არიან მომხმარებელი და პროფესიონალი მეწარმე. აღნიშნულის თაობაზე განხილვებმა გამოიწვია ახალი მიდგომების ჩამოყალიბება იურისპრუდენციაში -

<sup>45</sup> ლ. ჰანტურია, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 342, 181.

<sup>46</sup> Library Briefing, Library of the European Parliament, Unfair Terms Directive and Common European Sales Law, 2013, Council directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. (ხელმისაწვდომია: [http://ec.europa.eu/consumers/policy/developments/unfa\\_cont\\_term/uct01\\_en.pdf](http://ec.europa.eu/consumers/policy/developments/unfa_cont_term/uct01_en.pdf)) აგრეთვე directive 2011/83/EU of the European parliament and of the council of 25 October 2011 on consumer rights, (ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0064:0088:EN:PDF>)

<sup>47</sup> Treaty establishing the European Community (consolidated text), of the European Communities. C 325/33. 24.12.2002. (ხელმისაწვდომია: [http://eur-lex.europa.eu/en/treaties/dat/12002E/pdf/12002E\\_EN.pdf](http://eur-lex.europa.eu/en/treaties/dat/12002E/pdf/12002E_EN.pdf))

<sup>48</sup> ე. კარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, 2007, 122.

სამართლებრივი ნორმის დახმარებით ამ უთანაბრობის ნიველირება, მომხმარებელზე დამატებითი უფლებებისა და გარანტიების მიცემა, მეწარმეებზე გარკვეული ვალდებულებების დაკისრება, მათ შორის კომპანიათა თავისუფლების შეზღუდვა სტანდარტული ხელშეკრულების შინაარსის შედგენა-განსაზღვრისას.<sup>49</sup> რაც დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგან სწორედ დაცული მომხმარებელია მოთხოვნის მხარე, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს მიწოდების, ანუ ბიზნესის განვითარებას.

### 3.1.1 ევროკავშირის დირექტივები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

“1984 წლიდან იწყება ეკონომიკური პროფილის დირექტივების მიღება, რომელიც იცავენ მომხმარებელს არასამართლიანი და აგრესიული კომერციული პრაქტიკისგან. არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის საფუძვლად, უმეტესწილად, მოიაზრება გარიგებათა არასამართლიანი პირობები, სტანდარტული ხელშეკრულებები.”<sup>50</sup> პრობლემის გამომწვევ მიზეზებად სახელდება შემდეგი: საშუალო სტატისტიკურმა მომხმარებელმა არ იცის გარიგების დადებასთან დაკავშირებული ზოგადი წესები, არ იცნობს კანონს, ვერ ახდენს ხელშეკრულებაში გაწერილი ნორმების სწორ ინტერპრეტაციას, სათანადოდ ვერ აღიქვამს სპეციალურ ტერმინოლოგიას. ხელშეკრულების ტექსტი, ბევრ შემთხვევაში, დაწერილია ძალიან წვრილი შრიფტით და გაუგებრად, რაც მომხმარებელს უკარგავს ბოლომდე ჩაკითხვის სურვილს. მომხმარებელი ვერ ცვლის კონტრაქტის შინაარსს, რამეთუ კონტრაქტის წარმდგენი უმეტესწილად შემსრულებელია(მიმწოდებელი, გამყიდველი) და უფლება არ აქვს, შეცვალოს ხელშეკრულების ტექსტი.<sup>51</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 93/13/EEC დირექტივა შეეხება კონტრაქტებს, რომლებიც დადებულია გამყიდველს ან მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის.<sup>52</sup> მომხმარებელი კი დირექტივაში განმარტებულია როგორც ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიული მიზნების მიღმა.<sup>53</sup> რაც შეეხება გამყიდველსა და მიმწოდებელს, დირექტივის მე-2 მუხლის მიხედვით, გამყიდველი ან მიმწოდებელია პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სავაჭრო, ბიზნეს თუ პროფესიულ მიზნებთან დაკავშირებით.<sup>54</sup>

<sup>49</sup> იქვე გვ.126

<sup>50</sup> Thain, „The E.C. Council Directive on Unfair Terms in Consumer Contracts: A Perspective from the United States,“ Consumer Law Journal (C.L.J.) 2, No.4, (1994): ციტირებულია: ე.ქარდავა, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე,“ 132, სქოლიო 17.

<sup>51</sup> იქვე, 132.

<sup>52</sup> Council directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. Article 1(1) The purpose of this Directive is to approximate the laws, regulations and administrative provisions of the Member States relating to unfair terms in contracts concluded between a seller or supplier and a consumer.

<sup>53</sup> იქვე, Article 2 (b) 'consumer' means any natural person who, in contracts covered by this Directive, is acting for purposes which are outside his trade, business or profession.

<sup>54</sup> იქვე, (c) 'seller or supplier' means any natural or legal person who, in contracts covered by this Directive, is acting for purposes relating to his trade, business or profession, whether publicly owned or privately owned.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ 93/13/EEC დირექტივის მოქმედების სფერო მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ სამომხმარებლო ურთიერთობებს. ეს დირექტივა უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სახელშეკრულებო სამართლის ჰარმონიზაციის გზაზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იგი დაფუძნებულია 1976 წლის გერმანიის კანონზე სტანდარტული ხელშეკრულებების შესახებ.<sup>55</sup> ეს კანონი გერმანიის სამოქალაქო სამართალში ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე იყო, მაგრამ კანონი მოიცავდა უფრო მკაცრ დანაწესებს სამომხმარებლო ურთიერთობებში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების დროს, ვიდრე ეს დირექტივაშია მოცემული.<sup>56</sup> ეს კანონი არ არის უცხო ქართული სამოქალაქო კანონმდებლობისთვისაც, რადგანაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს, სწორედ გერმანიის სამოქალაქო კანონიდანაა გადმოტანილი და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ დანაწესებიც, რაც სსკ-ში არსებობს და მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს, სწორედ რომ გერმანული სამართლის გავლენითაა შეტანილი სამოქალაქო კოდექსში.<sup>57</sup>

### 3.2 გერმანიაში გატარებული რეფორმების გავლენა სტანდარტული პირობების შესახებ არსებულ რეგულაციებზე

2002 წელს გერმანიაში ვალდებულებითი სამართლის რეფორმის გატარებამდე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები რეგულირებული იყო ზემოაღნიშნული სპეციალური კანონით ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ, მაგრამ 2002 წელს, ამ კანონის დანაწესები შეიტანეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (Bürgerliches Gesetzbuch, BGB). აღნიშვას საჭიროებს ის გარემოება, რომ ბოლო წლებში გერმანიაში არაერთი რეფორმა გატარდა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ბიზნეს გარემოზე,<sup>58</sup> გარდა ამისა მოხდა ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>59</sup> ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ რეგულაციები მოცემულია გსკ-ის 305-310 პარაგრაფებში. რაც ორიენტირებულია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ინტერესების დაცვაზე, რომელსაც შესაძლებელია უფლებები შეეღაზოს სტანდარტული პირობების ამოქმედებისას.

<sup>55</sup> Gesetz zur Regelung des Rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen, AGBG. ხელმისაწვდომია გერმანულ ენაზე: <https://www.gesetzesweb.de/>.

<sup>56</sup> U. Bernitz, „Swedish Standard Contracts Law and The EC Directive,“ ბოლო დამუშავება: 2009, 14 (<http://www.scandinavianlaw.se/pdf/39-1.pdf> ვიზიტის დრო: 01/05/19).

<sup>57</sup> ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 297 და მომდევნო გვერდები.

<sup>58</sup> Bernd Tremml, Overview of the German legal system and its role in light of Germany's membership in the European Communities, 2016, 3.

<sup>59</sup> გსკ-ს წინ უძღვის შემდეგი დათქმა: This statute serves to transpose into national law the following directives: (6) Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts (OJ L 95 of 21 April 1993, 29). ხელმისაწვდომია: ინგლისურ ენაზე: [http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/englisch\\_bgb.html#p0902](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0902).

ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის მიზანი აშკარაა, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების წარმდგენ მხარეს ავალებს, რომ თავისი უფლებამოსილებები კანონის შესაბამისად და კეთილსინდისიერად განახორციელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს გერმანიის სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი და ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც არაკეთილსინდისიერად ლახავს მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებს ბათილად ჩათვალოს.<sup>60</sup> ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტება მოცემულია შემთხვევაზე, როდესაც პირობები მხარის მიერ არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მაგრამ არა მრავალჯერადი გამოყენებისათვის<sup>61</sup> ამასთან მიმართებით გერმანიის გსკ-ის 305 პარაგრაფის, პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ მრავალი ხელშეკრულებისათვის გამიზნულ პირობებს, რომლებსაც ხელშეკრულების ერთი მხარე წარუდგენს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებისას.“ ხელშეკრულების ეს პირობები შესაძლებელია მოიცავდეს ხელშეკრულების მთლიან შინაარსს, აგრეთვე მის ნაწილს. ზემოთ აღნიშნული პარაგრაფის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უნდა იყოს წინასწარ შემუშავებული იმისათვის, რომ ისინი მრავალჯერადად იქნეს გამოყენებული. სასამართლოებმა განმარტეს, რომ პირობების სტანდარტულად მიჩნევისათვის საკმარია, გამიზნული იყოს მათი, სულ მცირე, სამჯერ გამოყენება.<sup>62</sup> საინტერესოა სტანდარტული პირობების მოქმედების სფეროც, ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაციის გათვალისწინებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 310 პარაგრაფის მე-3 ნაწილში განმარტებულია, რომ გსკ-ს დებულებები გამოიყენება მეწარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადად სტანდარტული პირობების შეთავაზებას ახდენს მეწარმე, რაზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ. პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როდესაც სტანდარტული პირობები შეტანილია მომხმარებლის მიერ და ამ შემთხვევებზე გსკ-ის ნორმა ვრცელდება. სსკ-ის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა მისი გამომყენებელი მხარე ნათლად მიუთითებს მათზე ხელშეკრულების გაფორმებისას. ასევე მეორე მხარეს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა გაეცნოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და იგი უნდა დაეთანხმოს მათ გამოყენებას.<sup>63</sup> გერმანული კანონმდებლობა მთელ რიგ შემთხვევებზე აწესებს იგივე შეზღუდვას ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, რადგან მიიჩნევს, რომ მეწარმეებს არ ესაჭიროებათ ისეთივე დაცვის სტანდარტები, როგორც მომხმარებელს, გარდა ხელშე-

<sup>60</sup> Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, *The German Law of Contract a Comparative Treatise*, oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 2006, 170

<sup>61</sup> T.Zerres, *Principals of the German Law on Standard Terms of Contract*, ([www.jurawelt.com](http://www.jurawelt.com)).

<sup>62</sup> Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, *the German Law of Contract a Comparative Treatise*, oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 2006, 171.

<sup>63</sup> ი.კროპპოლერი, გსკ, სასწავლო კომენტარი, პარ.305, თარგმანი: ზ. ჭეჭელაშვილი, 2014, 184 და მომდევნო გვერდები.

კრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შემთხვევისა, როდესაც ის ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>64</sup>

### 3.3 კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა სტანდარტულ პირობებთან მიმართებით

მომხმარებელთა უფლებებზე ორიენტირებული სამართალი არის ევროკავშირის ერთიანი ბაზრის პოლიტიკის პრიორიტეტი. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა მუდმივი მსჯელობის საგანია, რამეთუ მხოლოდ დაცვის ძლიერი მექანიზმით აღჭურვილი მომხმარებელია კეთილგანწყობილი ბიზნესისადმი, რითაც თავად ბიზნესის მწარმოებელია მოგებული.<sup>65</sup> ევროკავშირს აქვს საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულება არაკეთილსინდისიერი სტანდარტული პირობების მიმართ, რაც განპირობებულია მეორე მხარის დაცვის მაღალი სტანდარტის აუცილებლობით. პრაქტიკული შემთხვევებიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად უსამართლო პირობებზე დათანხმება ხდება შემდეგი გარემოებების არსებობის გამო: მეორე მხარეს არ აქვს შესაბამისი ცონდა, დრო, სავაჭრო გამოცდილება და რომც ჰქონდეს და მოლაპარაკების სურვილი გამოთქვას, სავარაუდოა რომ ვერ მიიღებს დათმობებს, ამასთან, უმეტესად ყველა შემთავაზებელი ერთსა და იმავე პირობებს უდგენს მომხმარებლებს,<sup>66</sup> რაც ნათლად დავინახეთ საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ პირობებში. ევროკავშირი კი თავის მხრივ ცდილობს გააუმჯობესოს მომხმარებლის მდგომარეობა; აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილს ნამდვილად სურს, რომ დეტალურად გაეცნოს სტანდარტულ პირობებს, თუმცა იმისთვის, რომ გაეცნოს აუცილებელია ესმოდეს იურიდიული ჩანაწერების შინაარსობრივი მხარე.<sup>67</sup> აღნიშნულს შეესაბამება 93/13/EEC დირექტივა რომელიც ადგენს, რომ სტანდარტული პირობები შედგენილი უნდა იყოს მარტივ და გასაგებ ენაზე; სასამართლოს მიხედვით პირობები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ საშუალო მომხმარებელს შეეძლოს განჭვრეტა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგების, რომელსაც ადგენს სტანდარტული პირობები.<sup>68</sup> მოკლედ და მარტივად ჩამოყალიბებული პირობები ხელს უწყობს შემდგომში მათ ლეგიტიმურად მიჩნევას. ამასთან, მომხმარებელს უმარტივდება გადაწყვეტილების მიღება.

მეორე მიდგომა რაც კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა მდგომარეობს შემდეგ

<sup>64</sup> გსკ § 306, ინგლისურ ენაზე: [http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/englisch\\_bgb.html#p0902](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0902).

<sup>65</sup> ე.კარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, 2007, 122.

<sup>66</sup> Michael Schilling, *European Law Review* vo. 3, 2008, 336-358.

<sup>67</sup> Study on consumers' attitudes towards Terms and Conditions (T&Cs), 2016, 7.

<sup>68</sup> Council directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. Article (5) in the case of contracts where all or certain terms offered to the consumer are in writing, these terms must always be drafted in plain, intelligible language. Where there is doubt about the meaning of a term, the interpretation most favourable to the consumer shall prevail. This rule on interpretation shall not apply in the context of the procedures laid down in Article 7 (2).

გადაწყვეტაში: შეიქმნას საკითხის მიმართ ხელმისაწვდომობა, ეს მიდგომა კონკრეტდება იმაზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. მიღწევის ერთ-ერთი გზა შესაძლებელია იყოს მაღაზიებში ხარისხის აღმნიშვნელის დამატება; მაგალითად, ლოგო მომხმარებელთა ნაციონალური ორგანიზაციებისგან, რომელიც მომხმარებელს მიუთითებს, რომ აღნიშნულ გამყიდველს (მეწარმეს) აქვს სამართლიანი(კეთილსინდისიერი) სტანდარტული პირობები. ეს განაპირობებს იმას, რომ მომხმარებლისთვის მეტად გასაგები იქნება რასთან აქვს საქმე, ამასთან გაამარტივებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და მომხმარებელი თავის პასუხისმგებლობით გადაწყვეტს დადოს თუ არა ხელშეკრულება.<sup>69</sup>

ვფიქრობ, რომ მოცემული გადაწყვეტა ერთი შეხედვით მარტივი გამოსავალი შეიძლება იყოს, თუმცა, პასუხი კითხვაზე სართლიანი არის თუ არა რაიმე კონკრეტული დებულება ყოველთვის ერთი და იგივე არაა, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ხშირად სწორედ ეს კეთილსინდისიერების კრიტერიუმი ხდება ძირითადად დავის საგანი. მოსალოდნელია რომ აღნიშნული საკითხი კიდევ დიდი ხანი იქნება მსჯელობის საგანი. მიზეზი კი არის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულიც. ის, თუ რა გავლენას იქონიებს სამართალზე ხელშეკრულების პირობები, რომელსაც ერთი მხარე დამოუკიდებლად აყალიბებს, დაუბალანსებლად ანდა უსამართლოდ, ეს კითხვის ნიშანს აჩენს როგორც ზოგადად სახელშეკრულებო ასევე მომხმარებელთა სამართალშიც.<sup>70</sup> კეთილსინდისიერება იმდენად შეფასებითია, რომ ყველაზე სამართლიანი იურისდიქციის პირობებშიც კი ამ პრინციპის შესაბამისი პირობები იშვიათად დგება.<sup>71</sup> ზემოაღნიშნული მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია ისეთი პირობების არსებობისას, როდესაც ცალსახაა პასუხი კითხვაზე. მაგალითად საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით: პროდუქტებს დაყოფა ორგანულად და არაორგანულად მარტივი და შესაძლებელია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ზოგიერთი შემთხვევის კეთილსინდისიერად ანდა პირიქით შეფასებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ის, რომ კეთილსინდისიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ მომხმარებელსა და ბიზნეს სექტორს, არამედ მაშინაც, როცა ხელშეკრულების ორივე მხარეს მეწარმე წარმოადგენს.<sup>72</sup>

### 3.4 სასამართლო პრაქტიკა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU-ს)<sup>73</sup> ერთ-ერთ გადაწყვეტილება სამართლიან პირობებთან დაკავშირებით ცხადყოფს, წინა თავში

<sup>69</sup> European Commission, Study on consumers' attitudes towards Terms and Conditions (T&Cs), final report 2016, 7.

<sup>70</sup> T. Wilhelmsson, Various Approaches to Unfair Terms and Their Background Philosophies, 2008, 51.

<sup>71</sup> იქვე, 51.

<sup>72</sup> Michael Luber/Andrea Stadler, General Terms of Business, Key aspects of German business law, 2016, 85-92, 86.

<sup>73</sup> ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი (Court of Justice of the European Union-CJEU) რომელის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სამართლის ნორმების ინტერპრეტაცია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაციონალური სასამართლოები ვალდებული არიან დარწმუნდნენ, რომ სწორად



ჩამოთვლილ სირთულეებს: CJEU 30 აპრილი 2014, საქმე C-26/13-ზე<sup>74</sup> სასამართლომ იმსჯელა დირექტივა 93/13/EEC-ის მე-4(2) და მე-6(1) პუნქტებთან დაკავშირებით. დავის საგანს წარმოადგენდა მყიდველსა და გამყიდველს შორის პირობებით დადგენილი ტრანზაქციის გაცვლის კურსის შესახებ უნგრეთის კანონმდებლობის განსაზღვრების შეუსაბამობა დირექტივის მოთხოვნებთან. სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის ინტერპრეტაცია უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: როდესაც საუბარია, რომ პირობა გასაგები და მარტივად აღქმადი უნდა იყოს მეორე მხარისთვის, აქ იგულისხმება ის, რომ არა მხოლოდ ტექსტობრივად უნდა იყოს გამართულად და გასაგებად ჩამოყალიბებული, არამედ როდესაც გაცვლით კურსს ეხება საქმე, მომხმარებელს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ თვალნათლივ დაინახოს ის ეკონომიკური შედეგები, რაც გარიგების დაადებას შეიძლება მოჰყვეს. სრულიად განხვავებული პასუხები შეიძლება მოჰყვეს განსხვავებულ კომბინაციებს, თუმცა ეს პასუხები არა მხოლოდ იურიდიულ მხარეზეა დამოკიდებული, არამედ დაკავშირებულია უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან,<sup>75</sup> მათ შორის: ადამიანურობის არსის გაგება, საზოგადოების წყობილება და ა.შ.

ზოგჯერ არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ არსებული მიდგომები წინააღმდეგობაში მოდის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. მეორე მხრივ სწორედ ეს წინააღმდეგობა ამარტივებს საკითხის გადაწყვეტას. მაგალითად: როდესაც ამ ორს შორის ზღვარი გაუგებარია, წესები, რომელიც საჭიროებს, რომ მეორე მხარისგან გაცნობიერებას, მათ შორის ყველაზე საკამათოც წესებიც კი, შესაძლებელია იმდენად გასაგებად იყოს ჩაწერილი, რომ საერთოდ არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში დირექტივებით განსაზღვრულ ბარიერებთან.<sup>76</sup> მაშინაც კი, როდესაც კანონის ძალის მქონე კერძო სამართლებრივი ნორმები იცავენ ერთ მხარეს უსამართლო სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვისგან, მხარეები მაინც ყოველთვის თავისუფალნი არაინ გააკეთონ ის რაც მათი სურვილია იქამდე, სანამ შეთანხმებული იქნებიან ამ პირობების მოქმედებაზე. თვალსაჩინოა, რომ მსჯელობის საგანი ბევრად უფრო კომპლექსურია ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და პრობლემის გადაჭრის ყველაზე გონივრული გზა მხარეთა შორის მოლაპარაკება და ინფორმაციის სათანადოდ გაცვლაა. სახელშეკრულებო სამართალში ბუნებრივია რომ ფოკუსირება ხდებოდეს არა ხელშეკრულების გაფორმების პროცედურულ ნაწილზე, არამედ იმაზე, თუ რის შესრულებას შეპირდნენ მხარეები ერთმანეთს თავდაპირველად და ეს იქნეს აღებული ამოსავალ წერტილად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისი ნორმების არსებობა დამოკიდებულია

---

იყენებენ სამართლებრივ ნორმებს, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია განსხვავებული განმარტება მიეცეს თითოეულ ნორმას, თუ ნაციონალურ სასამართლოს ეჭვი უჩნდება ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, მას შეუძლია სთხოვოს CJEU-ს დამოწმება; იგივე მექანიზმის გამოყენება ასევე შესაძლებელია იმის დასადგენად თუ რამდენად არის შესაბამისობაში შიდა კანონები ევროკავშირის სამართალთან.

<sup>74</sup> CJEU-ს განმარტება 30 აპრილი, 2014 საქმეზე C-26/13 ხელმისაწვდომია საიტზე: <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=151524&doclang=EN> ვიზიტის დრო: 01/05/19.

<sup>75</sup> T.Wilhelmsson, Various Approaches to Unfair Terms and Their Background Philosophies, 2008, 52.

<sup>76</sup> იქვე, 52.

კომპლექსურ მიდგომებზე.<sup>77</sup>

ნაციონალური და საერთაშორისო გადაჭრის გზები მოიაზრებს როგორც პროცედურულ ასევე შინაარსობრივ ელემენტებს. უახლესი სამართლებრივი მიდგომების მიხედვით სამართლიანი და კანონიერი სტანდარტული პირობების არსებობისთვის საჭიროა ორივე ელემენტის არსებობა. განსხვავებები ქვეყნების ნაციონალური სამართლის მიხედვით ვლინდება სწორედ იმაში, თუ რომელი ელემენტი მოიაზრება უფრო მნიშვნელოვნად.<sup>78</sup>

### 3.5 სხვა ევროპული ქვეყნების რეგულაციები

საინტერესოა ბრიტანეთის, როგორც საერთო სამართლის ქვეყნის მაგალითი, რომელიც სავარაუდოა რომ დატოვებს ევროკავშირს, თუმცა ჯერჯერობით ქვემოთ მოცემული დანაწესი ბრიტანეთში ევროკავშირის დირექტივის მიღებამის შემდეგ გაჩნდა და ფუნქციონირებს: დირექტივის იმპლემენტაციის შემდეგ ბრიტანეთი წავიდა იმ მიმართულებით, რომ გააფართოვა სამართლიანი პირობების არეალი, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაცვა მიმართულია არა მხოლოდ ხელშეკრულების სუსტი მხარისკენ, არამედ ის იცავს, როგორც მომხმარებლებს ასევე მეწარმეებსაც ბიზნეს უერთიერთობებისას.<sup>79</sup>

ფრანგული მიდგომა მიყვება ასევე მომხმარებლის დაცვას უფრო კონკრეტულად და გასაგებად და კეთილსინდისიერების მოთხოვნას ავრცელებს, როგორც სტანდარტულ ასევე ინდივიდუალურად მოლაპარაკებულ პირობებზე.<sup>80</sup>

ზოგად კეთილსინდისიერების მოდელზე დაფუძნებული მაგალითი გვხვდება ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართალში.<sup>81</sup> სასამართლო განხილვას ექვემდებარება ხელშეკრულების პირობები იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამომავლოდ საბოლოო შედეგი სავარაუდოა, რომ იქნება უსამართლო. მიდგომა გამოიყენება მაშინაც, როცა შედეგი უკვე დადგა არაკეთილსინდისიერი პირობების გამო და ასევე, როცა გარემოების შეცვლის შემთხვევაში შესაძლოა მოუტანოს საზიანო შედეგი მხარეს. ჩრდილოეთის ქვეყნების მიდგომა ამკვიდრებს სტანდარტს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი არის არა მხოლოდ უკვე დამდგარი შედეგები, არამედ სტანდარტული პირობების გამოყენების შედეგად შესაძლო უსამართლო მდგომარეობა. მსჯელობა სახელშეკრულებო კეთილსინდისიერების შესახებ ასევე დამოკიდებულია კანონის ინტერპრეტაციასა და საზოგადოების ხედვებზე. შინაარსი

<sup>77</sup> ნ.ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 50.

<sup>78</sup> T.Wilhelmsson, Various Approaches to Unfair Terms and Their Background Philosophies, 2008, 52.

<sup>79</sup> Joint Report by the English and Scottish Law Commissions, 2005.

<sup>80</sup>Loi Scrivener 1978 ახლა: Code de la Consommation, articles L 132.1–L 132.5 (ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია საიტზე: <https://www.legifrance.gouv.fr/> ვიზიტის დრო: 01/05/19)

<sup>81</sup> შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიასა და დანიაში აღნიშნულს არეგულირებს შემდეგი აქტები: შვედეთი: “Lag om avtal och andra rättshandlingar på förmögenhetsrättens område” (1915:218), ფინეთი: “Laki varallisuusoikeudellisista oikeustoimista” (228/1929), ნორვეგია: “Avtaleloven” (1918/4), დანია: “Lov om aftaler og andre retshandler på formuerettens område” (1986/600).



დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება საზოგადოების მხრიდან კეთილსინდისიერება; კრიტერიუმების განმსაზღვრელი კი უმეტესად არის ეკონომიკურ მდგომარეობა, სოციალურ ურთიერთობები და სხვ. ჩამოთვლილ კრიტერიუმებს კი თავისი წვლილი შეაქვს ხელშეკრულების პირობების შეთანხმებისას.<sup>82</sup> ტრადიციული სახელშეკრულებო სამართალი ხაზს უსვავს მხარეთა ნების ავტონომიას და დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ხელშეკრულება მხარეებისთვის წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს და ხელშეკრულების თავისუფლება გამომდინარეობს არა მხოლოდ ნების გამოვლენის ავტონომიიდან, ასევე მხარეები მიჩნეულნი არიან იმ სუბიექტებად, ვისაც შეუძლიათ თავად აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავსა და ინტერესებზე.<sup>83</sup> ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის, რომ სახელშეკრულებო სამართალი დამოკიდებულია ეკონომიკასა და კონკურენციის არსებობაზე. ჯანსაღი კონკურენცია ახალისებს რომ ბალანსირებული იყოს ორივე მხარის ინტერესები, არ აქვს მნიშვნელობა მომხმარებელია თუ მეწარმე. როდესაც ხელშეკრულების პირობები არის არაკეთილსინდისიერი უმეტესად ეს საბაზრო ეკონომიკის კრახის ბრალია. კონკურენციის არსებობას მივყავართ სწრედ მეწარმეების მხრიდან დაბალანებული და კეთილსინდისიერი პირობების შემოთავაზებისკენ.<sup>84</sup>

#### **4. ასოცირების ხელშეკრულებისა და DCFTA-ის დებულებები საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ**

ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება 2014 წლის 27 ივნისს გაფორმდა. საქართველოს პარლამენტმა დოკუმენტის რატიფიცირება 2014 წლის 17 ივლისს განახორციელა, ხოლო დოკუმენტი სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს, მას შემდეგ რაც 23 მაისს ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რატიფიკაციის პროცედურების დასრულების თაობაზე.<sup>85</sup> ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის, რომელიც მათ შორის თანამშრომლობის სტრუქტურას ქმნის. ხელშეკრულების არეალი მოიცავს პოლიტიკის, ვაჭრობის, სოციალური საკითხების განვითარებას, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებს. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების სამართლებრივი საფუძველია TFEU-ს 217-ე თავი. ასოცირების ხელშეკრულებით

<sup>82</sup> T.Wilhelmsson, Various Approaches to Unfair Terms and Their Background Philosophies, 2008, 55.

<sup>83</sup> იქვე, 55.

<sup>84</sup> რ.გერაძე, კონკურენციის როლი საბაზრო ეკონომიკაში, Forbes Georgia ონლაინგამოცემა, 2015.

<sup>85</sup> ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1> ვიზიტის დრო 07/06/19).

პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ან ადამიანის უფლებათა რეფორმების ვალდებულების სანაცვლოდ, ხელშემკვრელ ქვეყანას სთავაზობს ტარიფებისგან თავისუფალ წვდომას ზოგიერთ ევროპულ ბაზარზე და ფინანსური თუ ტექნიკური დახმარებას. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA)<sup>86</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (მე-4 თავი), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ასოცირების ხელშეკრულების პრეამბულაში ვკითხულობთ: მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ რა, მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA), როგორც წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლით და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO)<sup>87</sup> წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად; სჯერათ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება შექმნის მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალ გარემოს და წახალისებს კონკურენციას, რაც წარმოადგენს ეკონომიკური რესტრუქტურისა და მოდერნიზაციისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.

DCFTA-ის ინტეგრაციის ფორმატი ვრცელდება მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიღმა, რადგან ის მოიცავს ევროკავშირთან ინტეგრაციას სამართლებრივი ნორმების მოდერნიზაციის გზით.<sup>88</sup> 67-ე მუხლი ადგენს სწორედ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობას: „მხარეები თანხმდებიან როგორც ძირითად პრინციპზე, რომ მათი შესაბამისი საბაჟო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და პროცედურები უნდა იყოს პროპორციული, გამჭვირვალე, პროგნოზირებადი,

<sup>86</sup>ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7> (უკანასკნელად ნანახია 07/06/19)

<sup>87</sup>დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ქ. ქენევაში, შვეიცარიაში. დღესდღეობით იგი 148 წევრ ქვეყანას ითვლის, რომელთა წილად მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 პროცენტზე მეტი. 1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულფასოვანი 137-ე წევრი

<sup>88</sup> A.Adarov, P.Havlik, Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova and Ukraine, 2016, 12.

არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად.“ ეს წარმოადგენს კიდევ ერთ დასტურს იმისას, საქართველოს მზადყოფნისა, გააგრძელოს იმ რეფორმების დანერგვა, რომლებიც უფრო მჭიდროდ დაახლოვებენ ქვეყანას ევროკავშირის სამართლებრივ სივრცესთან.<sup>89</sup> აღნიშნული ხელშეკრულებით ქართული ბიზნესისთვის იხსნება ახალი პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე წვდომისა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში მჭიდრო ინტეგრაციისთვის.<sup>90</sup>

## 4.2 საქართველოს ძირითადი ვალდებულებები

სწორედ ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს საქართველოს ვალდებულება შექმნას ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც შეეხება ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტულ პირობებს, უსამართლო კომერციულ პრაქტიკას და ა.შ. ამას ემატება სხვა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები (მაგალიტად EFTA)<sup>91</sup> რაც მოქმედებს საქართველოსთვის.

“მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე 2013 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, მომხმარებელთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლები და ექსპერტები.<sup>92</sup> შემუშავებული კანონპროექტის მე-12 მუხლი ეხება სწორედ უსამართლო პირობებთან დაკავშირებული საკითხების რეგულაციას და ადგენს, რომ: „ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, უნდა ჩაითვალოს უსამართლოდ, თუ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს მომხმარებლის საზიანოდ გაუმართლებელ დისბალანსს სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში“.<sup>93</sup> კანონის ამ ფორმულირებით მიღების შემთხვევაში სწორედ ეს დებულება იქნება უსამართლო სტანდარტული პირობების განსაზღვრისთვის მთავარი ინდიკატორი; კანონპროექტი

<sup>89</sup> Economic Policy Department of the Ministry for Economy and Sustainable Development of Georgia with support of OECD, Mid Term Evaluation Georgia's SME Development Strategy 2016-2020, 2018, 11.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) 1960 წელს დაფუძნდა. EFTA-ს ძირითადი მიზანი წევრ ქვეყანათა შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაა. EFTA-ს შემადგენლობა შედიან მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები: შვეიცარია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი და ისლანდია. 2018 წლის პირველი მაისიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ყველა წევრ-სახელმწიფოს შორის ამოქმედდა. აღნიშნული შეთანხმება შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში წარმოებული პროდუქტების და სერვისების დიდი ნაწილი სატარიფო ბარიერების გარეშე განთავსდეს 14 მილიონიან, მაღალ მსყიდველობითი უნარის მქონე სამომხმარებლო ბაზრებზე.

<sup>92</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 3.

<sup>93</sup> კანონპროექტი ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.economy.ge> (ვიზიტის დრო: 01/06/19)

ასევე განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის დაკისრებას და ადგენს რომ როცა ხელშეკრულების საგანი და ფასი მოლაპარაკების შედეგი იყო, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული უსამართლოდ. პირობების მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბების გარდა ადგენს, რომ ბუნდოვანება მომხმარებლის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს; თუმცა, რადგან მხოლოდ კანონპროექტის დონეზე გვაქვს ინფორმაცია და ამასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ასპექტებზე ძნელი იქნება მსჯელობა.

2018 წლის პირველი მაისიდან ასევე ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია „EFTA“-ს ყველა წევრ სახელმწიფოს შორის, რამაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ინტეგრაციის მნიშვნელობას; საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, გლობალიზაცია და საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის ბიზნესის განვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე. საქართველოს გაფორმებული აქვს სხვა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებიც, რაც ფართოდ უხსნის გზას ბიზნესსა და მომხმარებლებს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვისკენ. ევროკავშირთან დაახლოებისთვის, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია ასოციაციის შეთანხმება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის, ინვესტორთათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში) და მათ შორის გაზრდილი სავაჭრო და საექსპორტო მაჩვენებლების თვალსაზრისით.<sup>94</sup>

## 5. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება

საგარეო ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაციამ გააფართოვა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილეთა წრე ახალი ელემენტების გათვალისწინებით.<sup>95</sup> საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ნორმებს.<sup>96</sup> ამ სახის ეკონომიკურ გარიგებებში საინტერესოა საერთაშორისო კერძო და შიდაწარმოებულ კანონმდებლობის ურთიერთმიმართება. იმის გასაანალიზებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ კანონმდებლობას საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დადებისას, პირველ რიგში უნდა დადგინდეს კონკრეტულად რომელი ნორმები იგულისხმება ეროვნულ კანონმდებლობაში, რადგან ის ასევე მოიცავს კოლიზიური სამართლის ნორმებსაც. ზოგიერთ ქვეყანაში სავაჭრო სამართალი მიჩნეულია სამართლის დამოუკიდებელ დარგად და იგი მრავალი წელია ვითარდება სამოქალაქო სამართლის პარალელურად.<sup>97</sup>

<sup>94</sup> ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, 2014, 22.

<sup>95</sup> ი. შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19).

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> *Международное частное право: современные проблемы* под ред. Богуславского М., 1994. 75-78.

## 5.1 განმარტებასთან დაკავშირებით არსებული დოქტრინალური შეხედულებები

საზღვარგარეთის იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოქტრინალურ შეხედულებებს. ზოგჯერ საერთაშორისო სავაჭრო სამართალი მოიაზრება ძალიან ვიწრო გაგებით, ამგვარი გაგებისას, სამართლის ამ დარგის წყაროებად მიიჩნევენ:<sup>98</sup>

1) კონვენციებსა და ტიპობრივ კანონებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, საერთაშორისო დონეზეა დამუშავებული;

2) საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტერმინი ინტერპრეტირებულია „lex mercatoria“-ს თეორიის დებულებებით.<sup>99</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განსაზღვრებასთან დაკავშირებული რამდენიმე დოქტრინა:

1) საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არის კოლიზიურ ნორმათა ერთობლიობა;

2) საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კოლიზიური ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების უნიფიცირებული მატერიალური ნორმების ერთობლიობა;

3) საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კოლიზიური ნორმების, საერთაშორისო ხელშეკრულებების უნიფიცირებული მატერიალური ნორმებისა და საზღვარგარეთული ელემენტის მონაწილეობით სამოქალაქო სამართლის ურთიერთობათა რეგულირებისათვის შემუშავებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მატერიალური ნორმების ერთობლიობა.<sup>100</sup> ზოგიერთი მეცნიერის აზრით ამ ჩამონათვალში უნდა მოვიზიაროთ ასევე სამოქალაქო სამართლის პროცესიც.

### 5.1.1 საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართება საერთაშორისო ნასყიდობის სამართალთან

საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი განსხვავებულად განიმარტება, თუმცა, ფართო გაგებით რადგან საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას განვმარტავთ, როგორც საერთაშორისო ნასყიდობის დროს წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ დათქმებს, შეგვიძლია იმის თქმაც, რომ აქ მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის ნორმები. საერთაშორისო კერძო სამართლის ტერმინების დადგენისა და განსაზღვრისთვის დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის, რომ 1966 წელს გაეროს 21-ე გენერალური ასამბლეის სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც საფუძველი გახდა საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (UNCITRAL)<sup>101</sup> ჩამოყალიბება.

<sup>98</sup> ი. შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19).

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია, რომელიც დაფუძნებულია ვენაში, ძირითადი საქმიანობაა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავება.



თუკი გაეროს მიერ შემუშავებული ტერმინით ვიხელმძღვანელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე კატეგორიას აერთიანებს ამ სფეროში მოქმედ ნორმათა კერძო-სამართლებრივი ხასიათი. საგარეო ეკონომიკურ სფეროში მოქმედი ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. შედარების სახით შეიძლება იმის თქმაც, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი წარმოადგენს დიდ მათემატიკურ სიმრავლეს, რომელიც მოიცავს (კვეთს) საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების უმეტეს ნაწილს. მას მიეკუთვნება ისეთი სფეროები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებით (მაგალითად, მემკვიდრეობის, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის, საოჯახო სამართლის და სხვა საკითხები).<sup>102</sup>

უცხოელ კონტრაგენტთან დადებულ ყოველ საგარეო-სავაჭრო გარიგებას გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული ხასიათი, რადგან გარიგებით განისაზღვრება მხარის უფლებები და მოვალეობები, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარიგების პირობების სწორად ჩამოყალიბებას, მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხების დადგენასა და სხვა პირობებს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებისას ან/და გამოსაყენებელი სამართლის დადგენისას. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ხდება საერთაშორისო ნასყიდობის სფეროში არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების უნიფიცირება. სხვადასხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, ასევე, ცალკეული სახელმწიფოები ყველა ღონეს ხმარობენ საერთაშორისო ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმების უნიფიკაციისათვის.<sup>103</sup> ტექნიკურმა პროგრესმა სამყარო უფრო შეამჭიდროვა და ყველაფერი მოწმობს ნაციონალური იზოლაციონალიზმის დაძლევის პროცესს. მეტიც, საერთაშორისო გაცვლების ინტენსივობის ზრდამ საერთაშორისო სამართალში გამოიწვია სხვადასხვა მოსაზრებების თანდათანობითი დაახლოვება.<sup>104</sup>

## 5.2 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება

საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს საგარეო სავაჭრო ხელშეკრულების სპეციალურ განსაზღვრებას, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა ხელშეკრულების კვალიფიკაციისას. თავად ნასყიდობა უნდა გავიგოთ როგორც ორმხრივი ნაცვალგებითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვება ქონების გაცვლის ვალდებულება ფულის სამაგიეროდ.<sup>105</sup> ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი არის ვალდებული მყიდველს გადასცეს

<sup>102</sup>ი.შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19).

<sup>103</sup>იქვე

<sup>104</sup>ჰ.კოტეი, კ.ცვაიგერტი; რედაქტორი: თ.ნინიძე, მთარგმნელი: ე.სუმბათაშვილი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, 2000, 9.

<sup>105</sup>ლ.თორთლაძე, გ.გაბრიჩიძე, გ.თუმანიშვილი, პ.ტურავა. ე.ჩაჩანიძე, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014, 317.

საკუთრების უფლება ქონებაზე, ე.ი მიანიჭოს მას მესაკუთრის პოზიცია, მიაწოდოს საქონელი, მაშასადამე, გადასცეს მას მფლობელობა და მასთან დაკავშირებული საბუთები რომელიც მხარეთა თავისუფალ განსაზღვრას ექვემდებარება. მყიდველის მთავარ ვალდებულებას კი წარმოადგენს, შეთანხმებული ფასის გადახდა.<sup>106</sup>

საგარეო-სავაჭრო კონტრაქტების პროექტების შედგენისას, რეკომენდირებულია ვიხელმძღვანელოთ საგარეო-სავაჭრო შეთანხმების შემდეგი განსაზღვრებით: “საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულება წარმოადგენს სამეურნეო გარიგების სახეს, ანუ ეს არის შეთანხმება ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთაგანაც ერთ-ერთი არ არის სახელმწიფოს რეზიდენტი, ან არის რა ასევე სახელმწიფოს რეზიდენტი, საზღვარგარეთ გააჩნია კომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია განახორციელოს სავაჭრო ოპერაციების სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად, შესაცვლელად ან შესაწყვეტად (ექსპორტი, იმპორტი და რეექსპორტი).”<sup>107</sup>

## 5.2.1 იმპერატიული ნიშნები

### 5.2.1.1 მხარის არარეზიდენტულობა

რადგან საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ზუსტი დეფინიცია არ არსებობს, მისი განსაზღვრისთვის შეგვიძლია გამოვყოთ კვალიფიკაციისთვის აუცილებელ/იმპერატიულ და ფაკულტატურ ნიშნები. კლასიკური ინგლისური საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი არის ერთ-ერთი პირველწყარო რის მიხედვითაც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ვაჭრობის დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული თეორია, სისტემა ფოკუსირდება საერთაშორისო ბაზარზე, კლასიკური თეორია ხაზს უსვამს ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.<sup>108</sup> ხელმისაწვდომობა გზას უხსნის ერთი ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ მეორე ქვეყანაში საქონლის ან/და მომსახურების შეძენას; სწორედ ამიტომ იმპერატიულ ნიშნებს აუცილებლად მიეკუთვნება საგარეო-სავაჭრო სამართალურიერთობების “ერთ-ერთი მონაწილის არარეზიდენტულობა - იმპორტიორისა და ექსპორტიორის სხვადასხვა სახელმწიფოსადმი მიკუთვნება ან მათი კომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარეობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საექსპორტო საქონლის გადაზიდვა, მიღება და ანგარიშსწორება.”<sup>109</sup> უფრო კონკრეტულად კი უცხოელ მონაწილეს მიეკუთვნება უცხოელი სამართლის სუბიექტი, რომელიც ლეგალიზებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოეთის კანონმდებლობით განსაზღვრული სამოქალაქო უფლებაუნარიანობის მქონე ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებულია საზღვარგარეთ ან თავიანთ საწესდებო საქმიანობის ძირითად ნაწილს ამ ტერიტორიაზე ახორციელებენ. უცხოეთის მოქალაქე ფიზიკური პირები

<sup>106</sup>სსკ-ის 447-ე მუხლი I.

<sup>107</sup> Богуславский М.М. Международное частное право М., 1998, 204-210, ციტირებულია: ი.შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19)

<sup>108</sup> Robert Alexander Mundell, The Pure Theory of International Trade, 67.

<sup>109</sup>ი.შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19).

რომელთა მათი უფლებაუნარიანობა განისაზღვრება უცხოეთის სახელმწიფო კანონმდებლობით და ანალოგიურად მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობის დარეგულირება ეხება იმ სახელმწიფოს სადაც ამ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს. ჩამონათვალში შეგვიძლია ასევე გავითვალისწინოთ საზღვარგარეთის სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციული ერთეულები და ა.შ. საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულების სახელმწიფოსადმი კუთვნილება უმეტესწილად მიეთითება კონტრაქტის შესავალ ნაწილში.

გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რეგიონალიზაცია; ეკონომიკური ინტეგრაციის სისწრაფე აყალიბებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ მიდგომებს, ქვეყნების უმეტესობა არის არაერთი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე, რაც უფრო მეტად აახლოვებს და აფერმკრთალებს იმ საზღვრებს და წინაპირობებს რაც საერთაშორისო ვაჭრობისას წარმოიშვება. ეს ყელაფერი კი საბოლოოდ წვერი ქვეყნების განვითარებასა და წინსვლას უწყობს ხელს.<sup>110</sup>

### 5.2.1.2 ეკონომიკური ჩვეულებები

მეორე ნიშნად უნდა განისაზღვროს *საერთაშორისო სავაჭრო და სხვა საგარეო ეკონომიკური ჩვეულებათა გამოყენება*, როგორც რეგულირების სპეციალური წესი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“<sup>111</sup> ასევე განამტკიცებს ჩვეულების გამოყენებას მე-8 და მე-9 მუხლებში. მუხლი 8: 3. მხარის განზრახვის განსაზღვრისას ან იმის განსაზღვრისას, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა შესაბამისი გარემოება, მოლაპარაკების, ნებისმიერი პრაქტიკის ჩათვლით, რომელიც მხარეებმა დანერგეს თავიანთ ურთიერთობაში, ჩვეულებანი და მხარეთა სხვა ნებისმიერი შემდგომი მოქმედება; მუხლი 9: 1. მხარეები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ნებისმიერი ჩვეულება, რომლის შესახებაც არსებობს მათ შორის შეთანხმება და პრაქტიკა, რომელიც დანერგეს ერთმანეთთან ურთიერთობაში.<sup>112</sup>

კონვენცია მიჩნეულია, თვით აღსრულებად ნორმად, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ამოქმედება დამოკიდებულია რატიფიკაციაზე და არ საჭიროებს კანონმდებლობაში ცალკე ჩართვას.<sup>113</sup>

<sup>110</sup> Sub-regionalism, regionalism, trans-regionalism. Implications for economic integration and international trade policies, Joongi Kim, Asia Europe Journal (2003) 1: 183–196, 184.

<sup>111</sup> United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods(CISG), ვენა 1980წ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე გამოსაყენებელ სამართალთან მიმართებით, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოქმედებს 1995 წლის 01 სექტემბრიდან და წარმოადგებს ქართული სამართლის განუყოფელ ნაწილს.

<sup>112</sup> თარგმანი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია საიტზე : [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) ვიზიტის დრო: 25/06/19.

<sup>113</sup> Gillette, Clayton P., Walt, Steven D., The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods: Theory and Practice, The CISG: history, methodology, and construction, 2016, 1.



კონვენციამ მიღებიდან უმოკლეს დროში მოიპოვა წარმატება და მსოფლიოს ქვეყნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად იყენებენ კონვენციას, როგორც ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტს. არ არის გასაკვირი კონვენციის ტექსტში მსგავსი რეგულირებების გათვალისწინება, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები დამოკიდებულია არა მხოლოდ კანონის ტექსტზე, არამედ საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებულ ჩვეულებებზე.

### 5.2.1.3 სავალუტო დათქმა

რადგან საერთაშორისო ვაჭრობასთან გვაქვს საქმე და ნასყიდობის სანაცვლო ღირებულების გადახდის საკითხის რეგულირება აუცილებელ გადაწყვეტას საჭიროებს, აქედან გამომდინარე საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ იმპერატიულ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სავალუტო დათქმა“, რომლითაც რეგულირდება ექსპერტ-იმპორტის ოპერაციებისას უცხოეთის სახელმწიფოთა ვალუტით ანგარიშსწორება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა ვალუტით შეფასება.<sup>114</sup>

### 5.2.2 ფაკულტატური ნიშნები

ფაკულტატურ ნიშნებთან დაკავშირებით კი, უპირველესყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ფაკულტატური ნიშნები გამოხატავენ საერთაშორისო ნასყიდობის განხორციელებისას ოპერაციათა ხასიათს.<sup>115</sup> ეს შეიძლება იყოს საქონლის მიერ საზღვრის გადალახვის პირობა, როდესაც საკუთრების შეძენა ან გაცემა ხდება საბაჟო ტერიტორიის გარეთ; ფაკულტატური ნიშნებიდან ასევე ერთ-ერთი შესაძლოა იყოს გამოსაყენებელ სამართალზე მითითება და დავის განმხილველი ორგანოს არჩევის შესაძლებლობა. როდესაც ყველა ნიშანი ერთობლოვად იკვეთება ხელშეკრულებში, შესაძლებელი ხდება მისი საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებად კვალიფიკაცია. საერთაშორისო ნასყიდობის უპირველესი რისკი უცხო საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლო გავლენიდან გამომდინარეობს.<sup>116</sup> თუმცა ეს აპრიორში არ ნიშნავს იმას, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა იმაზე მეტ ტვირთს აკისრებს მხარეს, ვიდრე ეროვნული. მიუხედავად კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მზარდი მაჩვენებლისა, ზოგჯერ შიდანაციონალური სამართალი არ არის მისაღები მხარეებისთვის. ისინი ხელიდან არ უშვებენ შანსს მათ შორის არსებული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა შეარჩიონ<sup>117</sup> და იშვიათია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ამ ფაკულტატური ნიშანს არ ითვალისწინებს.

<sup>114</sup> ი.შაფაქიძე, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები (<http://www.nplg.gov.ge> ვიზიტის დრო: 12/06/19).

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> Jens Eisenschmidt/ Klaus Wälde, International Trade, Hedging, and the Demand for Forward Contracts, Review of International Economics, 2007, 15(2), 414–429, 427.

<sup>117</sup> იქვე 417.

### 5.3 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებით დასარეგულირებელი ძირითად საკითხთა წრე

როდესაც ხელშეკრულება „საერთაშორისო“ ხასიათის არის, მაშინ დგება აუცილებლობა, რომ რამდენიმე საკითხი წინასწარ იყოს განსაზღვრული. მაგალითად, თუ ქართული კომპანია აშშ-ში ან გერმანიაში დაფუძნებულ კომპანიასთან გააფორმებს კერძო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებას, ასეთ შემთხვევაში თავს იჩენს რამდენიმე ლოგიკური შეკითხვა. ხშირად მნიშვნელოვნად დამაბნეველი ხდება საკითხი, რადგან ჩნდება არაერთი სამართლებრივი შეკითხვა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე,<sup>118</sup> კერძოდ, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა დარეგულირდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა? ხელშეკრულების მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის ქვეყნის სამართლით? ნეიტრალური ქვეყნის სამართლით? საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულებით თუ მრავალმხრივი კონვენციით? სავაჭრო ჩვეულებებით? ტრანსნაციონალური წესებით ან/და ე.წ. „soft-law“-თი, რომლებიც არც ერთი სუვერენული სახელმწიფოს ადგილობრივი სამართლებრივი სისტემის ნაწილს არ წარმოადგენს?<sup>119</sup> „soft law“-ს შესახებ გამოთქმული მოსაზრების თანახმად წესები, რომელთაც არ აქვთ სამართლებრივი ბოჭვის შესაძლებლობა შესაძლებელია ვერ ახდენდნენ პრაქტიკულ გავლენას ევროპულ ინტერგარციაზე, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ბოჭვის ძალის არ მქონე, თუმცა პოტენციურად მნიშვნელოვანი ნორმატიული სისტემა აწესებს კოორდინაციის საზღვრებს.<sup>120</sup>

გარდა ზემოჩამოთვლილისა, არსებითი ხასიათის არის ასევე საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი შეკითხვები, რაც შეიძლება გამოიწვიოს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულების დადებამ: დავის წარმოშობის შემთხვევაში. კერძოდ, რომელი ქვეყნის სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო განსჯადობა/კომპეტენცია? მოსარჩელის თუ მოპასუხის ქვეყნის სასამართლოებს? შესაძლებელია ეს იყოს ასევე ნეიტრალური ქვეყნის სასამართლოს ან საერთოდ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს? რომელი ქვეყნის სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო პროცესის მიზნებისთვის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უფლება, სად შეიძლება მათი საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად ცნობა და შემდეგ აღსრულება?<sup>121</sup>

<sup>118</sup> Lim, C. L., Mercurio, Bryan, *International Economic Law After the Global Crisis (A Tale of Fragmented Disciplines)*, The WTO legality of the application of the EU's emissions trading system to aviation, *International Economic Law After the Global Crisis (A Tale of Fragmented Disciplines)*, 2015. 18-53.

<sup>119</sup> გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. 39.

<sup>120</sup> David M. Trubek/Louise G. Trubek *Hard and Soft Law in the Construction of Social Europe: The Role of the Open Method of Co-ordination* *European Law Journal*, 2005, 343–364, 343.

<sup>121</sup> გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. 39.

ეს და კიდევ სხვა შეკითხვები თავის სირთულესა და კომპლექსურ ხასიათს იძენს ე.წ. საზღვრის გადამკვეთი ტრანზაქციების (“cross-border transactions”) არსებობისას. განსხვავებით ერთი ქვეყნის მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, სადაც ყველა სახის შეკითხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებით წესრიგდება, საერთაშორისო კონტექსტში ერთგვაროვანი და უნიფიცირებული სამართლებრივი და სასამართლო სისტემის არარსებობის გამო რთულდება სათანადო პასუხების მოძიება.<sup>122</sup> საერთაშორისო ვაჭრობის ფართო გავრცელებიდან და ასევე ზემოაღნიშნული ფაქტების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებს, როგორც მეწარმეებისთვისა და მათი იურისტებისთვის ასევე მომხმარებელთათვისაც.

## 6. სტანდარტული და მოდელური ხელშეკრულებები და მათი გამოყენების პრაქტიკული დანიშნულება

გლობალიზაციის პირობებში სწრაფი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც წესი, საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების შედგენისას მხარეები პრაქტიკაში ხელმძღვანელობენ წინასწარ შედგენილი სტანდარტული ან/და მოდელური ხელშეკრულებებითა თუ მუხლებით. აღნიშნულს ადგილი აქვს ყოველთვის, არ აქვს მნიშვნელობა მხარეები იურისტებთან ერთად თუ მათ გარეშე იქნებიან წარმოდგენილნი. თავად იურისტებიც მანამდე უკვე შედგენილი ან ზოგადად ხელმისაწვდომი სტანდარტული ხელშეკრულებებით სარგებლობენ, რათა კონკრეტული გარიგებისთვის გამოსაყენებელი ხელშეკრულება შეადგინონ.<sup>123</sup> ერთი მხრივ წინასწარ შედგენილი ხელშეკრულებების ნიმუშების გამოყენება გავრცელებული მეთოდია, მეორე მხრივ კი, აღნიშნული მიდგომა საკმაოდ სარისკოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნიმუშების გამოყენება ყოველ კონკრეტულ ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან სათანადო მისადაგება-ადაპტაციის გარეშე ხდება.<sup>124</sup> რისკის დაბალანსებას ვფიქრობ, რომ იწვევს სწორედ ის დაზოგილი დრო, რასაც მხარეები მოახმარდნენ სათითაოდ ყველა პირობის ცალკე განხილვასა და შეთანხმებას.<sup>125</sup>

მოდელური ხელშეკრულებები და ნორმატიული აქტები დადებით გავლენას ახდენს უნიფიკაციის მიმდინარე პროცესზე, 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და

<sup>122</sup> იქვე 39.

<sup>123</sup> Jaletzke/Henle, M&A Agreements in Germany, 2011; Patt/Giles, Stockholders' Agreements Line by Line, 2011; Wolf, The Law and Practice of Shareholders' Agreements in National and International Joint Ventures: Common and Civil Law Uses, With Multiple Clauses and Forms for the Practitioners, 2014; Model Stock Purchase Agreement with Commentary, Second Edition, 2010 (2 Volumes);

<sup>124</sup> გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. 39.

<sup>125</sup> Michael Lubet, The Law of Contracts, Key aspects of German business Law, 2016, 71-85, 73.

1985 წლის UNCITRAL-ის „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი თავისუფლად შესაძლებელია მივიჩნიოთ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სფეროში ყველაზე წარმატებული აქტებად.

### 6.1 ხელშეკრულებათა სტრუქტურა და სტანდარტული მუხლები

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების სტრუქტურა ძირითადად ემთხვევა ადგილობრივი, მხოლოდ შიდანაციონალური სამართლებრივი რეგულირების ქვეშ მოქცეული ხელშეკრულებების სტრუქტურას,<sup>126</sup> ყველა სახის კომერციულ სფეროს აქვს მისთვის დამახასიათებელი შტრიხები, რასაც აუცილებლად ითვალისწინებს ხელშეკრულების დადებისას. ამან შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურული სხვაობაც. (მაგალითად ლიცენზიების წარმოდგენის შესახებ პუნქტი ან სხვ.). “ხელშეკრულებები ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი თავების სახით:

- პრეამბულა (Preamble, Recitals);
- განმარტებები და დეფინიციები (Interpretations and Definitions);
- ხელშეკრულების ენა (Language of the Contract);
- ფორს-მაჟორი (Force-Majeure);
- შესრულების გართულება (Hardship);
- ჯარიმა/პირგასამტეხლო (Penalty/Liquidated Damages);
- ერთიანი ხელშეკრულება ე.წ. „Parol Evidence Rule“<sup>127</sup>-ის (Merger Clause) გათვალისწინება;
- ცალკეულ დებულებათა ნაწილობრივი ბათილობა (Partial Nullity/Severability of provisions/Invalid clauses);
- გამოსაყენებელი სამართალი/მარეგულირებელი კანონმდებლობა (Applicable Law/Governing Law);
- დავის გადაწყვეტა/სასამართლოთა განსჯადობა/საერთაშორისო კომპეტენცია/საარბიტრაჟო შეთანხმება (Dispute Settlement/Jurisdiction of Courts/Arbitration Clause).”<sup>128</sup>

ზემოჩამოთვლილთაგან პირველი ორი პუნქტი არც შიდანაციონალური ხელშეკრულებისთვის არის უცხო და ხშირად გამოიყენება კონტრაქტებში. ამასთან, არაა სავალდებულო მათი ჩართვა ხელშეკრულებაში, რადგან სამართლებრივი შედეგების კუთხით ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ძირითადად ხელშეკრულების ტექსტში სიცხადის შეტანას და დაკონკრეტებას ისახავს მიზნად. თუმცა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობები სადაც განმატებების და დეფინიციების თავის

<sup>126</sup> შიდანაციონალური სტრუქტურის შესახებ იხ. გ.სვანაძე ძლიერიშვილი /ცერცვაძე/ რობაქიძე/ სვანაძე/ ცერცვაძე/ ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი. 2014. 94,95.

<sup>127</sup> Parol Evidence Rule-ეს წესი წარმოადგებს პრეზუმფციას, რომ შედგენილი კონტრაქტი არის სრული და საბოლოო შეთანხმება მხარეებს შორის, ისინი ვერ იხელმძღვანელებენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მოლაპარაკებებით,რადგან ყველაფერი რაზეც შეთანხმებას მიაღწიეს აისახა ხელშეკრულებაში.

<sup>128</sup> გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. 39.

არსებობის გარეშე გაუგებარი იქნებოდა მთელი რიგი დათქმები და აქედან გამომდინარე ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო ხასიათსაც იძენს.

მომდევნო თავებში განხილული იქნება ხელშეკრულების სტრუქტურის შემადგენელი სხვა ელემენტები. რისი ხაზგასმაც მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან შეხებისას აუცილებელია გვქონდეს წარმოდგენა როგორი ფორმითაა პირობები შეტანილი ხელშეკრულებაში.

## 6.2 ხელშეკრულების ენა

როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და მის სტრუქტურაზე, განხილვისთვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ხდება ხელშეკრულების ენა. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში ენის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ურთიერთობის ხასიათიდან და მსოფლიოში არსებული სალაპარაკო ენების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც წესი, საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა უპირატესად ინგლისურ ენაზე იდება. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებები ორენოვანი არის. ასეთ დროს აუცილებელია, რომ ყოველგვარი ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით, საერთაშორისო ხელშეკრულებებში მხარეებმა განსაზღვრონ მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების სხვადასხვა ენაზე შედგენილ ტექსტებს შორის წინააღმდეგობრიობის, ბუნდოვანებისა თუ განსხვავებების შემთხვევაში რომელ ენაზე შედგენილ ტექსტს მიენიჭება უპირატესობა. ხელშეკრულების ბუნდოვანი მუხლების კონტექსტში საყურადღებოა საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში ე.წ. „soft-law“-ის მიერ აღიარებული წესი, ე.წ. „Contra proferentem rule“-ის სახელწოდებით ცნობილი,<sup>129</sup> რომელიც უნიდროას პრინციპებში<sup>130</sup> შემდეგი სახით არის ასახული:

### 6.2.1 განმარტება ხელშეკრულების შემდგენელის წინააღმდეგ

„UNIDROIT PRINCIPLES მუხლი 4.6: “თუ ერთი მხარის მიერ განსაზღვრული სახელშეკრულებო პირობები ბუნდოვანია, მაშინ ისინი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ “. <sup>131</sup> ეს ასევე ასახული ევროპულ სახელშეკრულებო პრინციპებშიც.<sup>132</sup> 5.107-ე მუხლის მიხედვით, როდესაც ხელშეკრულება შედგენილია ორ ან მეტ ენაზე და მითითებული არაა, მათ შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა, მაშინ უპირატესი ძალის მქონედ მიიჩნევა ის რომელ ენაზეც პირველად შედგა ხელშეკრულება.<sup>133</sup>

<sup>129</sup> იქვე 39.

<sup>130</sup> უნიდროას პრინციპების შესახებ იხ.მე-7 თავი.

<sup>131</sup> ARTICLE 2.1.16 (CONTRA PROFERENTEM RULE): If contract terms supplied by one party are unclear, an interpretation against that party is preferred.

<sup>132</sup> ევროპული სახელშეკრულები სამართლის პრინციპების შესახებ იხ. მე-7 თავი.

<sup>133</sup> მუხლი 5:107 თარგმანი: ე.ბუკვალავა/თ. ჭალიძე/ ა.ცეცვაძე/ დ.გეგენავა, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014, 47

სსკ-ის მიხედვით მეორე მხარის სასარგებლო განმარტების წესს უშუალოდ სტანდარტულ პირობებთან მიმართებით ვხვდებით. აღნიშნული მოწესრიგების საფუძველი არის ის, რომ მხარეს რომელსაც აქვს პრივილეგია შეადგინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, შეუძლია ეს ისე გააკეთოს რომ პირობები ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ის ადგენს ბუნდოვან პირობებს ან იყენებს ისეთ სტანდარტულ მუხლებს, რაც გაუგებარს ხდის ხელშეკრულებას, მაშინ მუხლის მისთვის საწინააღმდეგოდ ინტერპრეტაციის რისკი მას უნდა ეკისრებოდეს.<sup>134</sup> ეს არ უნდა გავიგოთ, ისე რომ იგი ვალდებულია ყველა პუნქტის შესახებ დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია მეორე მხარეს, მთავარი არის ის რომ ამგვარი დათქმა წარმოადგენს ბუნდოვანი მუხლების ხელშეკრულებაში ჩართვის ერთგვარ პრევენციას.

### 6.3 ფორს-მაჟორი

საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებათა მიზნებისთვის გამოსაყენებელ მოდელურ მუხლებს ადგენს და ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს სთავაზობს საერთაშორისო სავაჭრო პალატაც.<sup>135</sup> საერთაშორისო სავაჭრო პალატის ფორს მაჟორის მოდელური მუხლი ცნობილია „ICC Force Majeure Clause 2003“<sup>136</sup>-ის სახელწოდებით, რომელზეც ხელშეკრულებაში მითითებაც შეიძლება საკმარისი იყოს, მისი როგორც ხელშეკრულების ფორს-მაჟორის მუხლად განსაზღვრისთვის. აღნიშნული მოდელური მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს შესაბამის წინა პირობებს შემდეგი ფორმულირებით:

“1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ხელშეკრულებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვა რამეზე შეთანხმდებიან, თუ მხარე დაარღვევს ერთ ან მეტ სახელშეკრულებო ვალდებულებას, მაშინ 4-9 პარაგრაფებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დადგება [მხარე გათავისუფლდება ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო პასუხისმგებლობისაგან] იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დამრღვევი მხარე დაამტკიცებს, რომ:

---

<sup>134</sup> გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. 43.

<sup>135</sup> International Chamber of Commerce (ICC) საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის მსოფლიოს ყველაზე დიდი ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს 45 მილიონ კომპანიას 100-ზე მეტ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც, 2002 წელს დაარსდა ქართული საერთაშორისო სავაჭრო პალატა, რომლის ოფისიც მოგვიანებით, 2008 წელს გაიხსნა თბილისში) პირველადი ფორმით ჩამოყალიბდა 1919 წლიდან, როდესაც მეწარმეებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც იქნებოდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი. 1923 წელს უკვ გადაიდა შემდეგი ნაბიჯი და შეიქმნა საარბიტრაჟო სასამართლოც (International Court of Arbitration) შემდგომი პერიოდიდან იწყება მოდელური მუხლების შექმნა და გამოქვეყნება, დღეისთვის კი საერთაშორისო სავაჭრო პალატა არის მსოფლიოში აღიარებული (მათ შორის 2016 წლიდან გაერომ მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი) (ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.iccwbo.org/>).

<sup>136</sup> ICC Force Majeure Clause and ICC Hardship Clause – ICC Publication No. 650.

- (a) ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყო მისი კონტროლის მიღმა მყოფი დამაბრკოლებელი გარემოებებით; და
- (b) არ იქნებოდა გონივრული, რომ მას, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გათვალისწინებინა აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებები ან მათი უარყოფითი შედეგები; და
- (c) გონივრულობის ფარგლებში, მისთვის შეუძლებელი იყო თავიდან აერიდებინა ან გადაეღახა აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებები.”<sup>137</sup>

ამ მუხლის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული 3 კუმულატიური წინაპირობის არსებობის დამტკიცების შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლებრივი შედეგი. აღნიშნული მოდელური მუხლი ასევე განსაზღვრავს ფორს-მაჟორული გარემოებების ვრცელ ჩამონათვალს, რომელთა ხელშეკრულებით წინასწარ გათვალისწინება უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ურთიერთობაში „საერთაშორისო“ ელემენტი ფიგურირებს.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ხშირად ხდება ფორს-მაჟორზე შეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ნაწილი, შევეცადე სხვადასხვა ქვეყნების სტანდარტული ხელშეკრულების პირობები შემედარებინა ერთმანეთთან, რის საფუძველზეც შემიძლია იმის თქმა, რომ მიუხედავად იმისა მხარეები იყენებენ თუ არა საერთაშორისო სავაჭრო პალატის მოდელურ მუხლსა თუ სხვას, ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ფორს-მაჟორის გათვალისწინების გარეშე, ამასთან ფორს-მაჟორის ჩამონათვალში გარდა ბუნებრივი მოვლენებისა, ყოველთვის მითითებულია სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე.<sup>138</sup> რადგან ხშირ შემთხვევებში ბუნებრივ პირობებზე მეტად სწორედ ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები იწვევს პრობლემებს საქონლის თავისუფლად გადაადგილებაში.

#### 6.4 შესრულების გართულება

ასევე ცნობილია “ICC”-ის მოდელური მუხლი „ICC Hardship Clause 2003“-ის სახელწოდებით, რომელიც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული შეიძლება იქნეს ფორს-მაჟორის მუხლთან ერთად შემდეგი ფორმულირებით:

“1. ხელშეკრულების ერთი მხარე ვალდებულია, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება მაშინაც, თუ ცალკეულმა გარემოებებმა იმაზე მეტად გაართულა

<sup>137</sup>თარგმანი, გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70.

იხ. ინგლისური ტექსტი: <http://store.iccwbo.org/t/ICC%20Force%20Majeure%20Hardship%20Clause>

<sup>138</sup> Ezeldin, A. Samer, Abu Helw, Amr, Proposed Force Majeure Clause for Construction Contracts under Civil and Common Laws, Journal of Legal Affairs and Dispute Resolution in Engineering and Construction 08 Vol. 10; Iss. 3, 2018, 124-133. 125-127.



მისთვის შესრულება, ვიდრე ეს გონივრულობის ფარგლების დაცვით, ხელშეკრულების დადების დროს შეიძლება ყოფილიყო მოსალოდნელი.

2. პირველი პარაგრაფის მიუხედავად, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ:

(a) შესრულების გაგრძელება გახდა შეუსაბამოდ რთული იმ გარემოებების გამო, რომლებიც ვერ ექცევა მისი გონივრული კონტროლის ფარგლებში და რომელთა გათვალისწინებაც, ხელშეკრულების დადების მომენტში, მისთვის შეუძლებელი იყო; და, რომ

(b) მას არ შეეძლო აერიდებინა ან გადაეღახა აღნიშნული გარემოებები ან მისი შედეგები, მაშინ მხარეები ვალდებული არიან, გონივრულ ვადებში მოილაპარაკონ ალტერნატიული პირობებზე, რომლებიც აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებას შესაძლებელს ხდის.”<sup>139</sup>

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ფართოდ ცნობილ და დამკვიდრებულ ცნებას “hardship”-ის შესაბამისად ქართულ იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებულია ტერმინი შესრულების გართულება, რომელიც განიმარტება როგორც “ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების უკიდურესი დამძიმება, რომელიც შესრულების შეუძლებლობისგან იმ ნიშნით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელის დროს შესრულება გამორიცხულია”<sup>140</sup> საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების არც თუ ისე იშვიათად უწყევთ ამ საკითხზე მსჯელობა, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით დამდგარი შესრულების გართულება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ მხარეს ყოველთვის შეეძლება მიუთითოს ამ პუნქტზე, რადგან ზოგიერთ საქმეში სასამართლოს დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური გართულება მეტად მოსალოდნელი იყო მხარეებისთვის და ისინი პასუხისმგებლები არიან ამ რისკზე.<sup>141</sup> ამ პირობების სტანდარტულ მუხლებში გათვალისწინებისას მთავარი არის ის, რომ პირობები თვალსაჩინოდ მიუთითებდნენ შინაარსობრივ მხარეზე.

## 6.5 საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების გამოყენების შესახებ

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განხილვისას, ვფიქრობ რომ ასევე აუცილებლად უნდა დაეთმოს ყურადღება “Incoterms<sup>142</sup> 2010”-ის წესებს; ეს არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესები ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების გამოყენების შესახებ და ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებას.

<sup>139</sup> ICC Force Majeure Clause and ICC Hardship Clause – ICC Publication No. 650, თარგმანი, გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 38-70. იხ. ინგლისური ტექსტი: <http://store.iccwbo.org/t/ICC%20Force%20Majeure%20Hardship%20Clause>

<sup>140</sup> ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 40.

<sup>141</sup> Firoozmand, Mahmoud Reza, Zamani, Javad, Force majeure in international contracts: current trends and how international arbitration practice is responding Arb. Int'l, Vol. 33, 2017.

<sup>142</sup> “Incoterms” არის საერთაშორისო სავაჭრო პალატის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი.



წესების მითითება ნასყიდობის ხელშეკრულებაში მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეების შესაბამის ვალდებულებებს და ამცირებს სამართლებრივი გართულებების რისკს.<sup>143</sup> საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ Incoterms წესების შემუშავების შემდეგ<sup>144</sup> ის როგორც საყოველთაოდ აღიარებული სახელშეკრულებო სტანდარტი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პარალელურად განიცდიდა რეგულალურ განახლებას.

დღეს მოქმედი ვერსია ძალაშია 2011 წლიდან, სადაც წესების რაოდენობა შემცირებულია 11 მოკლე და მკაფიო წესამდე. საერთაშორისო სავაჭრო პალატის კომერციული პრაქტიკის კომისიის წევრების დიდი გამოცდილება, რომელნიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს და ყველა სავაჭრო სექტორს წარმოადგენენ უზრუნველყოფს, რომ incoterms 2010-ის წესები ყველგან პასუხობდეს ბიზნესის მოთხოვნებს; მომავალი წლისთვის დაგეგმილია ცვლილება, ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა „Incoterms 2020“-ის წესების შემუშავებაზე, რაც კიდევ უფრო მეტად დახვეწილი ვერსია იქნება დღეს მოქმედისა.<sup>145</sup>

რაც შეეხება წესების სტრუქტურულ და შინაარსობრივ მხარეს, წესები განმარტავს სამი ასოსგან შემდგარი სავაჭრო ტერმინების ნაკრებს, რომელიც ასახავს ნასყიდობის ხელშეკრულებების ბიზნეს პრაქტიკას. წესები ძირითადად აღწერს გამყიდველის მიერ მყიდველისთვის საქონლის მიწოდების პროცესში არსებულ მოვალეობებს, ხარჯებს და რისკებს.<sup>146</sup>

მათი გამოყენებისთვის, ეს წესები პირველ რიგში შეტანილი უნდა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ვხვდებით მკაფიო მითითებას არჩეული წესისა და ადგილის მითითებით. Incoterms-ის კონკრეტული წესის არჩევა დამოკიდებულია უმეტესად მეწარმე სუბიექტის ბიზნეს პრაქტიკაზე; არჩეული წესი შეესაბამება საქონელს მისი ტრანსპორტირების საშუალებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ითვალისწინებს ხომ არ აპირებენ მხარეები დამატებითი ვალდებულების დაწესებას. მაგალითად, როგორცაა: გადაზიდვის ორგანიზების ან დაზღვევის ვალდებულების დაკისრება გამყიდველზე ან მყიდველზე. რომელი Incoterms წესიც არ უნდა იქნეს არჩეული, მხარეებმა უნდა იცოდნენ რომ მათი ხელშეკრულების ინტერპრეტაციაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კონკრეტულ პორტში ან ადგილზე მოქმედმა საბაჟო წესებმა.

აუცილებელია იმაზე ხაზგასმა, რომ Incoterms წესები არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის სრულყოფილ ხელშეკრულებას, ის განსაზღვრავს ყიდვა-გაყიდვის შესახებ არსებულ შეთანხმებაში რომელ მხარეს აკისრია ვალდებულება მოაგვაროს გადაზიდვის ან დაზღვევის საკითხები მყიდველისთვის საქონლის მიწოდებისას და რომელ ხარჯებზეა თითოეული მხარე პასუხისმგებელი. თუმცა Incoterms წესებში არაფერია ნათვამი გადასახდელ ფასზე ან გადახდის ფორმაზე და არც საქონლეულზე

<sup>143</sup> წესები პირველად შემუშავდა 1936 წელს და მას შემდეგ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება.

<sup>144</sup> Incoterms® 2010 English Edition By the International Chamber of Commerce (ICC), ICC Publication No. 715E, 2010, 4.

<sup>145</sup> <https://iccwbo.org/resources-for-business/incoterms-rules/incoterms-2020/> ვიზიტის დრი 27/06/2019.

<sup>146</sup> იქვე.

საკუთრების უფლების გადაცემაზე ან ხელშეკრულების დარღვევის შედეგებზე. ეს საკითხები ჩვეულებრივ განისაზღვრება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების არსებითი პირობებით ან ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონმდებლობით. INCOTERMS წესები ტრადიციულად გამოიყენება საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში, როცა საქონელი კვეთს საზღვარს.<sup>147</sup> წესების მნიშვნელობას განაპირობებს სწორედ ის, რომ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მოწესრიგების ორ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს მოიცავს, ესენია: საქონლის მიწოდება და ნასყიდობის ფასის გადახდა.<sup>148</sup>

## 7. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიცირება

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები თანამედროვე კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. მართალია, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ევროპაში სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქტიურად გამოიყენება. იგი დიდ როლს ასრულებს ევროპის სასამართლო პრაქტიკაშიც.<sup>149</sup> “ერთიანი ევროპული ბაზრის“ იდეის ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპული სამართალმცოდნეების დიდი ნაწილის სურვილი წევრი ქვეყნებისთვის საერთო საკანონმდებლო ბაზის არსებობის თაობაზე არ განელებულა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და დღემდე ასრულებენ ევროკავშირის მიერ შემუშავებული რეგულაციები და დირექტივები, რაც ხელს უწყობს განსხვავებული სამართლებრივი სისტემის დაახლოებას ევროკავშირის შიგნით და ზოგადად, საერთო საზოგადოებრივი ფასეულობების ჩამოყალიბებას.<sup>150</sup> დღეს ყველა წევრი სახელმწიფო შიდაანაციონალური კანონით მოქმედებს, თუმცა დირექტივები ხელს უწყობს შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესს. ევროპის ბაზარი კი თავის მხრივ იმდენად მჭიდროა, რომ ბრუნვის სტაბილურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი კანონების ქონა.<sup>151</sup>

ანალოგიური მსჯელობა უკავშირდება უნიდროას პრინციპების მნიშვნელობას საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად დადგენილი სტანდარტი არ არსებობს, სამომხმარებლო ბაზარი არეგულირებს ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების პროცესს. მეწარმეს ურჩევნია ის ნორმა გამოიყენოს, რომლის აღსრულება პრაქტიკაში უკვე გამოცდილია და ასევე მის იურისტებს აქვთ საკმარისი ცოდნა და შემხებლობა მასთან.

<sup>147</sup> Incoterms® 2010 English Edition By the International Chamber of Commerce (ICC), ICC Publication No. 715E, 2010, 7.

<sup>148</sup> Roberto Bergami, Managing Incoterms 2010 risks: tension with trade and banking practices, Int. J. Economics and Business Research, Vol. 6, No. 3, 2013, 324-338, 326.

<sup>149</sup> The Principles of European Contract Law, სრული ტექსტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: თარგმანი ე.ბზევალავა/თ. ჭალიძე/ ა.ცეცვაძე/ დ.გვენავა, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014. 12 და მომდევნო გვერდები.

<sup>150</sup> S.Vogenauer, General Principles' of Contract Law in Transnational Instruments, The editors and contributors severally, 2014, 292.

<sup>151</sup> იქვე.

## 7.1 საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

უნიფიცირებული სამართლის საჭიროება სხვადასხვა სახით იჩენს ხოლმე თავს. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისთვის სამართალში ცნობილია უნიდროას პრინციპები,<sup>152</sup> ისინი მუხლებად არის ჩამოყალიბებული და თან ახლავს კომენტარები რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიცავენ მაგალითებს მათი შინაარსისა და გამოყენების სფეროს საილუსტრაციოდ, აგრეთვე მითითებებს უნიფიცირებული სამართლის სხვა შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებზე. უნიდროას პრინციპები საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვისაა განკუთვნილი და მათი გამოყენება ხელშეკრულებაში შესაბამისი მითითების შემდეგ ხდება.<sup>153</sup> მართალია მის დებულებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ეს არ აბრკოლებს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებში მის ფართო გამოყენებას. უნიდროას პრინციპები მსგავსია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის დებულებებისა, თუმცა, ამავდროულად, ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.<sup>154</sup> ეს უკანასკნელიც უნიდროას პრინციპების მსგავსად მას შემდეგ ხდება ხელშეკრულების ნაწილი, რაც მხარეები ჩართავენ მას ხელშეკრულებაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ ხელშეკრულებაში ჩართვა არ ხდის გარანტირებულს მათ გამოყენებას, რადგან დავის შემთხვევაში პრინციპების პირობები არ იქნება უპირატესი გამოსაყენებელი სამართლის იმპერატიულ ნორმებთან მიმართებით.<sup>155</sup>

მართალია უნიდროას პრინციპები განკუთვნილია კომერციული გარიგებების მოსაწესრიგებლად, მიუხედავად იმისა, რომ ცნების მნიშვნელობა განმარტებული არ არის, მის ქვეშ არ უნდა მოიაზრებოდეს მომხმარებელი, რადგან ბევრ სახელმწიფოში ცალკე მოქმედებს მომხმარებელთა დამცავი და სავალდებულო ხასიათის დებულებები.<sup>156</sup> პრინციპების საერთაშორისო ხასიათი ორი ფუნდამენტალური მიზეზით არის განმტკიცებული. პირველი მიზეზი იმისა რომ მისი ჩართვა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ხდება, არის სწორედ ზემოაღნიშნული „კომერციული“ ხასიათი, ხოლო მეორეს განპირობებს ის, რომ პრინციპები აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართალურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის დადებული ხელშეკრულებები იწვევს კონფლიქტს, რადგან

---

<sup>152</sup> Institut International pour l'Unification du Droit – სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი დაარსდა 1926 წელს ერთა ლიგის ეგიდით კერძო სამართლის უნიფიცირების ხელშეწყობის მიზნით. იხ. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების „უნიდროას“ პრინციპები 2010-ის ოფიციალური განმარტებები: UNIDROIT PRINCIPLES on International Commercial Contracts 2010 published by the International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT) (<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>).

<sup>153</sup> არტურ ჰარტკამპი, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ევროპული და შედარებით სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2009-2010, 183-218, 184.

<sup>154</sup> The Principles of European Contract Law სრული ტექსტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: თარგმანი ე.ბ.ვეკალავა/თ. ჭალიძე/ ა.ცეცვაძე/ დ.გეგენავა, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014, 12 და მომდევნო გვერდები.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იქვე.

ქვეყნების შიდა კანონმდებლობა ჯერ კიდევ განსხვავებულია ერთმანეთისგან. თუმცა, საერთაშორისო ტრანზაქციებთან მიმართებაში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ საკუთარი მოქალაქეებსა და უცხოელ კონტრაქტებს ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები და მისცეს ხელშემკვრელ მხარეების ფართო ავტონომია მათი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.<sup>157</sup>

## 7.1 უნიდროას პრინციპები სტანდარტული პირობების შესახებ

უნიდროას პრინციპებში ვხვდებით ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ არაერთ დათქმას: ერთ შემთხვევაში პირობები, რომლებზეც მხარეები არ შეთანხმებულან შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისათვის ვინაიდან ხელშეკრულების ნაწილი გახადეს მხარეებმა, მეორე მრივ კი მოულოდნელი პირობებს ძალა არ ექნებათ თუ მეორე მხარე ცალსახად არ აღიარებს მათ.

### 7.1.1 სტანდარტული პირობების ცნება

*მუხლი 2.1.19(2)* ეხება სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების დადებას და საზღვრავს, რომ: ..სტანდარტული პირობები გვაქვს სახეზე, როდესაც ეს პირობები წინასწარ არის მომზადებული მხარის მიერ და იყენებს მას ისე რომ არ ხდება მოლაპარაკება პირობების შინაარსზე.<sup>158</sup> კომენტარში განმარტებულია, რომ სტანდარტულ პირობად მიჩნევა არ არის დამოკიდებული არც მის პრეზენტაციაზე (რა ფორმით იქნება წარმოდგენილი და სხვ.) არც იმაზე თუ რა შინაარსის მატარებელია და არც იმაზე თუ ვის მიერაა მომზადებული. მთავარია მხარეს წინასწარ და მეორე მხარესთან მოლაპარაკების გარეშე ჰქონდეს ჩადებული ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობები.<sup>159</sup> შესაძლოა სახეზე გვქონდეს ისეთი შემთხვევაც როდესაც ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე ორივე მხარის მიერ ხდებოდა სტანდარტული პირობების შეთავაზება, ასეთ დროს პირობები სავალდებულო ძალას იძენს მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.<sup>160</sup> ეს შეგვიძლია მივიჩნიოთ სტანდარტული პირობების უნიდროას პრინციპებისეულ განმარტებად, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან ცნების სწორად გაგებაზე დამოკიდებულია მთელი რიგი შემდეგი პუნქტები. ის პირველია იმ ოთხი ძირითადი პუნქტიდან, რომელიც ეხება სტანდარტული პირობების შესახებ დათქმებს.

<sup>157</sup> M. J. Bonell, Unification of Law by Non-Legislative Means: The UNIDROIT Draft Principles for International Commercial Contracts, The American Journal of Comparative Law, Vol. 40, No. 3 (Summer, 1992), 617-633, 620.

<sup>158</sup> ARTICLE 2.1.19 (2) Standard terms are provisions which are prepared in advance for general and repeated use by one party and which are actually used without negotiation with the other party.

<sup>159</sup> UNIDROIT, International Institute for the Unification of Private Law, UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016 ARTICLE 2.1.19, 67.

<sup>160</sup> იქვე 68.

## 7.1.2 უჩვეულო დებულებები

მუხლი 2.1.20 ეხება უჩვეულო დებულებებს და ადგენს რომ სტანდარტული პირობა რომელსაც მეორე მხარე ვერ წარმოიდგენდა არ იქნება ნამდვილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე დათანხმდება ამ პირობებს (იგულისხმება რომ შეიტყობს მოულოდნელი პირობის შესახებ და შემდეგ დათანხმდება). მოულოდნელ პირობად მიჩნევისთვის ეს უნდა იკვეთებოდეს მის შინაარსი, ენაში ან პრეზენტაციის ფორმაში.<sup>161</sup>

როდესაც ერთი მხარე თანხმდება მეორე მხარის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ პირობებს, ის იძენს სავალდებულო ძალას, იმისდამიუხედავად დეტალურად გაეცნო თუ არა მხარე მათ შინაარსს. თუმცა არსებობს საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც ადგენს როდის არ შეიძლება მივიჩნიოთ მხარის მიერ ხელმოწერილი სტანდარტული პირობები სავალდებულოდ და ეს არის სწორედ 2.1.20 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც ემსხურება სწორედ ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის მიზანს.<sup>162</sup>

უჩვეულო დებულებათა შესახებ დათქმას ასევე აწესებს სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლი: „ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.“ ხშირად კლიენტი არასაკმარისი ყურადღებით ან საერთოდ არ ეცნობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. მიუხედავად ამისა, დაცვას საჭიროებს ის ნდობა, რომელიც მას წარმოეშობა შემთავაზებლის მიერ ცალმხრივად წაყენებული პირობების მიმართ. ამიტომაც, დამოუკიდებლად იმისა, გაეცნო თუ არა კლიენტი ამ პირობებს, პირობები, რომლებიც საშუალო კლიენტის მოლოდინის ჩარჩოში სრულად ვერ ჯდება, არ უნდა გახდეს ხელშეკრულების ნაწილი.<sup>163</sup> სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლებისგან განსხვავებით, ეს დათქმა მეწარმესაც ეხება და მასაც შეუძლია მიუთითოს უჩვეულო დებულების გამო ხელშეკრულების პირობის ბათილობაზე. უჩვეულოდ ჩაითვლება სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც კლიენტს, მისთვის მოულოდნელად, დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ან შეთანხმებულ შესრულებას არსებითად ცვლის და კლიენტს მათი გათვალისწინება არ შეეძლო.<sup>164</sup> ამასთან, უჩვეულობა დამოკიდებულია მეორე მხარისთვის ობიექტურ და არა სუბიექტურ კრიტერიუმებზე. დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უჩვეულო დებულებები ამავდროულად უნდა იყოს მოულოდნელი (სწორედ ამ სიტყვას იყენებს უნიდროას პრინციპი). მოულოდნელობის ეფექტის დასადგენად კი შეფასებისთვის

<sup>161</sup> ARTICLE 2.1.20 (1) No term contained in standard terms which is of such a character that the other party could not reasonably have expected it, is effective unless it has been expressly accepted by that party. (2) In determining whether a term is of such a character regard shall be had to its content, language and presentation

<sup>162</sup> UNIDROIT, International Institute for the Unification of Private Law, UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016 ARTICLE 2.1.20, 69.

<sup>163</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 344, პარ.1 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/06/2019).

<sup>164</sup> ლ.ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 344, 190.

საჭირო კრიტერიმად აღებულ უნდა იქნეს საშუალო დონის კონტრაქტის შეხედულება და აღქმა.

უნიდროას პრინციპის კომენტარშიც ზუსტად ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით, ამასთან დამატებით არის მოხსენიებული, რომ მოულოდნელობა შეიძლება ტექსტის ენამ ან პრეზენტაციის/წარმოდგენის საშუალებამ შექმნას. შესაძლოა პარალელი გავავლოთ სსკ-ის 343 მუხლთან, რაც სტანდარტული პირობების ხელშეკრულებად გადაქცევისთვის აწესებს „თვალსაჩინო წარწერის გაკეთების“ ვალდებულებას, იმისთვის რომ კლიენტს ჰქონდეს უპრობლემოდ გაცნობის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში მთავარია რომ კლიენტს ჰქონდეს გაცნობის შესაძლებლობა, რაც არ გულისხმობს მის ვალდებულებას გაეცნოს სტანდარტულ პირობებს.<sup>165</sup> უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობას განეკუთვნება ის გარემოება, რომ სტანდარტული პირობები საშუალო მონაცემების კლიენტისათვის ზედმეტი ძალისხმევის გარეშე იყოს წაკითხვადი, შინაარსობრივად მარტივად აღქმადად ჩამოყალიბებული და დანაწევრებული.<sup>166</sup> ცალკეული დათქმების შრიფტის ზომა არ უნდა იყოს ისე მცირე, რომ მათი წაკითხვა კლიენტის მხრიდან მხოლოდ განსაკუთრებული დაძაბვის შედეგად იყოს შესაძლებელი.<sup>167</sup>

უნიდროას პრინციპისგან განსხვავებით ეს წესები მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარე არ არის მეწარმე. მეწარმე სუბიექტს სამოქალაქო კოდექსი არ აძლევს ამ მუხლზე მითითების საფუძველს და აწესებს ცალკე დათქმას მეწარმესთან დაკავშირებით: მუხლი 343(2) „თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მეწარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა.“ მართალია მეწარმეებთან ურთიერთობისას მაინც საჭიროა გარიგებისმიერი შეთხზება ხელშეკრულებაში ჩართვასთან დაკავშირებით, თუმცა მომხმარებლისგან განსხვავებით შეთანხმება გაცილებით მარტივად შეიძლება შედგეს.<sup>168</sup> ორივე შემთხვევაში, პირობის ბათილად მიჩნევის რისკისგან თავის არიდება შესაძლებელი იქნება თუ შემთავაზებლის მკაფიო მითითებისა და განმარტების შემდეგ მეორე მხარე დათანხმდება ამ პირობების ხელშეკრულებაში ჩართვას. სწორედ ეს არის თავის დაზღვევის მარტივი ფორმულა პირობების შემთავაზებლისთვის, რაც პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით ჰპოვებს ასახვას.

<sup>165</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 343, პარ.20 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/06/2019).

<sup>166</sup> BGHNJW 1983, 816; BGH NJW 1983, 2773, (ციტირებულია: გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 31. (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/05/2019).

<sup>167</sup> BGH NJW-RR1986, 1311; OLG Saarbrücken NJW-RR 2009, 989: ხელშეკრულების ნაწილად ვერ იქცევა პირობა, რომლის წაკითხვაც მხოლოდ ლუპით და ისიც ძლივძლივობით არის შესაძლებელი. (ციტირებულია: გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, სქოლიო 32. (<http://www.gccc.ge> ვიზიტის

<sup>168</sup> გ.რუსიაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 343, პარ.27 (<http://www.gccc.ge> ვიზიტის დრო: 27/06/2019).

დრო: 27/05/2019).



### 7.1.3 არსებითი პირობების უპირატესობა და სტანდარტული პირობების ჩართვა ხელშეკრულებაში

მუხლი 2.1.21-ის მიხედვით, როდესაც წინააღმდეგობაა სტანდარტულ პირობასა და არსებით პირობას შორის, არსებითი პირობა უპირატესი ძალის მქონედ მიიჩნევა, რაც არაა უცხო ასევე ქართული კანონმდებლობისთვის და სამართლიანად უნდა ითქვას, რომ უპირობოდ და გამონაკლისების გარეშე აუცილებელია მსგავსი გადაწყვეტის არსებობა არსებითი, მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.

მუხლი 2.1.22 მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორივე მხარე იყენებს სტანდარტულ პირობას. ხელშეკრულება სტანდარტული პირობების ჩართვით დადებულია მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე მხარე დათქმულ ვადაში ან არაბრალეული დაგვიანების გარეშე აცნობებს მეორეს რომ არ სურს ამ პირობებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭება.<sup>169</sup> ბიზნეს ურთიერთობებში საკმაოდ ხშირია, როდესაც ერთი მხარის მიერ სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვის შეთავაზებას მოსდევს მეორე მხარისგან ანალოგიური შეთავაზება. მთავარი საკითხი დგება მაშინ, როდესაც ეს სტანდარტული პირობები ერთმანეთს გამორიცხავს. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. “knock-out” დოქტრინა, რომლის მიხედვითაც შეთანხმება მიღწეულად მიიჩნევა იმ არსებით პირობებზე რომელზეც შეთანხმდნენ მხარეები და მხოლოდ იმ სტანდარტულ პირობებზე, რომელიც არ არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.<sup>170</sup> როდესაც მხარეებმა იციან “knock-out” დოქტრინის შესაძლო მოქმედების შესახებ ისინი თავიდანვე ცდილობენ თავი დაიზღვიონ წინააღმდეგობრივი სტანდარტული პირობებისგან, რადგან მაღალი იქნება მათი ბათილობის რისკი.

### 7.2 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები სტანდარტული პირობების შესახებ

საერთო საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებს (Principles of European Contract law (PECL)),<sup>171</sup> შეიძლება ითქვას, რომ ის განკუთვნილი იყო შეესრულებინა ევროპის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის როლი, მართალია არაა კერძო სამართლის წყარო ფორმალურად, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სამართლის ფორმირებაზე.<sup>172</sup> გამომდინარე იქიდან, რომ პრინციპებში არ არის ზუსტი

<sup>169</sup> Where both parties use standard terms and reach agreement except on those terms, a contract is concluded on the basis of the agreed terms and of any standard terms which are common in substance unless one party clearly indicates in advance, or later and without undue delay informs the other party, that it does not intend to be bound by such a contract.

<sup>170</sup> UNIDROIT, International Institute for the Unification of Private Law, UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016 ARTICLE 2.1.22, 72-74.

<sup>171</sup> Principles of European Contract law (PECL) ხელმისაწვდომია: [https://www.trans-lex.org/400200/\\_pecl/](https://www.trans-lex.org/400200/_pecl/)

<sup>172</sup> Yehuda Adar/Pietro Sirena, Principles and Rules in the Emerging European Contract Law: From the PECL to the CESL, and Beyond, European Review of Contract Law, 01 Vol. 9; 2013, 1-37, 4.

დაკონკრეტება კომერციულ საკითხთა წრეზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრინციპების გამოყენება დასაშვებია როგორც მეწარმეებს შორის ასევე ფიზიკურ პირებს შორის კომერციული ხელშეკრულების გაფორმებისას.

### 7.3.1 პირობები ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე

რაც შეეხება პრინციპებში განმტკიცებულ დათქმებს სტანდარტული პირობების შესახებ, თავდაპირველად უნდა შევეხოთ *მუხლი 2:104-ს*, რომელიც განსაზღვრავს პირობებს ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე:

“(1) ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთანხმებიათ, შეიძლება იმ მხარის წინააღმდეგ იქნას მიმართული, რომელმაც მათ შესახებ არ იცოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე, რომელიც ამ პირობებს იყენებს, ხელშეკრულების დადებამდე ან დადების პროცესში გონივრული ხერხებით ამ პირობებზე ყურადღების გამახვილებას ცდილობდა.

(2) პირობებზე მხარის ყურადღების გამახვილებად არ ჩაითვლება ხელშეკრულების დოკუმენტში მათი უბრალოდ მითითება, მაშინაც კი, თუ ეს მხარე ამ დოკუმენტს ხელს აწერს.”<sup>173</sup>

ზემოაღნიშნულთან ერთად უნდა განვიხილოთ *მუხლი 5:103* – “Contra Proferentem” წესის შესახებ: თუ არსებობს ეჭვი ხელშეკრულების იმ პირობის შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთანხმებიათ, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირობების წამომყენებლის ნების საპირისპირო განმარტებას (უნიდროას პრინციპების მსგავსად).

მსგავსად აწესრიგებს ურთიერთობებს აგრეთვე სსკ-ის 345-ე მუხლი: „თუ ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ“. მუხლის მიზანია რომ შემთავაზებელმა მხოლოდ ნათელი და არაორაზროვანი დებულებები გაითვალისწინოს.<sup>174</sup>

### 7.3.2 შედარება უნიდროას პრინციპებთან

*მუხლი 2:209* ასევე მსგავსია უნიდროას პრინციპებისა და ეხება როგორც სტანდარტული პირობების ცნების განმარტებას, ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც სტანდარტული პირობები წინააღმდეგობრივია და ადგენს:

“(1) თუ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, ემთხვევა თუ არა ოფერტი და აქცეპტი სტანდარტული პირობების შესახებ, ხელშეკრულება მაინც დადებულიად მიიჩნევა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება, თუ მათი შინაარსი ურთიერთობის ხასიათს შეესაბამება.

<sup>173</sup> მუხლი 2:104 თარგმანი: ე.ბუეკალავა/თ. ჭალიძე/ ა.ცეცვაძე/ დ.გეგენავა, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014, 25.

<sup>174</sup> ლ.ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი ციტირება: სსკ-ის) კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 344, 190.

(2) ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულიად, თუ მხარე: (ა) წინასწარ, ცხადად, და არა სტანდარტული პირობების მეშვეობით განაცხადებს, რომ მას არ სურს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე იყოს შებოჭილი ან (ბ) დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს, რომ იგი არ აპირებს შეიბოჭოს ასეთი ხელშეკრულებით.

(3) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ისეთი პირობებია, რომელიც კონკრეტული სახის ხელშეკრულებებისთვის წინასწარაა ჩამოყალიბებული და გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისთვის და რომელთა შესახებ შეთანხმება ინდივიდუალურად არ მომხდარა.<sup>175</sup>

დაბოლოს, *მუხლი 5:104* ეხება შეთანხმებული პირობები უპირატესობას სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, რაც ასევე იმეორებს უნოდროას პრინციპებისა და სსკ-ის დებულებებს.

შექმნის მიზნიდან გამომდინარე, უნიდროას პრინციპები გათვლილი იყო მთელი მსოფლიოსთვის. გამოქვეყნების შემდეგ პრინციპებს გამოიყენებდნენ ის მხარეები, რომელთაც ჰქონდათ სურვილი ხელშეკრულებებში ასახულიყო არა ნაციონალური სისტემა, არამედ სამართლის გენერალური/ძირითადი პრინციპები (*“lex mercatoria”*) და დავის განხილველად შიდა სასამართლო სისტემას საერთაშორისო ტრიბუნალს ამჯობინებდნენ. რაც შეეხება PECL-ს, ის განკუთვნილი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ძირითადად იგივე მიზნებს იმეორებს, ამასთანავე გამიზნულია რომ ის გახდეს ევროპული სამოქალაქო სამართლის ძირითადი წყარო, რომელიც სავალდებულო ძალის მატარებელი იქნება ევროკავშირისთვის.<sup>176</sup>

ერთი შეხედვით გასაკვირი შეიძლება იყოს ის, თუ რა საჭიროება არსებობდა, ორ ერთმანეთის მსგავს სამართლებრივ ნორმებზე მეცნიერებს ცალ-ცალკე ემუშავათ. 1980-იანი წლებიდან იურისტების ორი ჯგუფი მუშაობდა სწორედ ზემოხსენებულ დოკუმენტებზე და საბოლოო ჯამში შეიმუშავეს მსგავსი წესები. თუმცა ეს არ უნდა იქნეს მიჩნეული ფუჭ შრომად, რადგან სწორედ ის, რომ ორმა თითქმის დამოუკიდებელმა ჯგუფმა ცალ-ცალკე მიიღო ერთმანეთის მსგავსი სამართლებრივი ნორმები კიდევ უფრო მეტად ამყარებს სანდოობასა და ავტორიტეტს ამ ნორმების მიმართ. იმის ნაცვლად, რომ შემუშავებულ პრინციპებს ხელი შეეშალათ ერთმანეთისთვის, პირიქით, მათ შეძლეს ერთმანეთის მნიშვნელობის ხაზის გასმა და გაძლიერება. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ ორი დოკუმენტის მსგავსება საერთაშორისო ნასყიდობის კონვენციასთან (CISG).<sup>177</sup> რომელიც თავის მხრივ არ კონკრეტდება სტანდარტული პირობების მოწესრიგებაზე. კერძო სამართლის ეს დარგი უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაზე, ეხება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროს, რაც იწვევს ჩამოთვლილი საერთო წესების დამკვიდრებას.<sup>178</sup>

<sup>175</sup> მუხლი 2:209 თარგმანი: ე.ბზეკალავა/თ. ჭალიძე/ ა.ცეცვაძე/ დ.გეგენავა, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014, 30.

<sup>176</sup> Ole Lando, Principles of European Contract Law and UNIDROIT Principles: Moving from Harmonisation to Unification? Uniform Law Review – Revue de droit uniforme, 2003, 123-133, 123.

<sup>177</sup> იქვე, 124 და მომდევნო გვერდები.

<sup>178</sup> Study Group on Social Justice in European Private Law, Social Justice in European Contract Law: A Manifesto, European Law Journal, Vol. 10, No. 6, November 2004, 653-674, 555.

## 8. სტანდარტული პირობების საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჩართვის გავრცელებული ფორმა

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია სტანდარტული პირობები თვალსაჩინოდ მიუთითებდნენ შინაარსობრივ მხარეზე. სამართლებრივი ენა რთული და კომპლექსურია, რადგან სამართლებრივი ენით საუბრისას იურისტები აკონკრეტებენ ყველა დეტალს; მაგალითად თუ მხარეს სურს დავის შემთხვევაში არბიტრაჟის გამოყენება, მან არა მხოლოდ უნდა აღნიშნოს არბიტრაჟის გამოყენების შესახებ, არამედ უნდა გაიწეროს შემდეგნაირად, რომ არავის აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იქამდე სანამ დავას არ განიხილავს არბიტრაჟი. იმისთვის, რომ მხარემ თავი დააღწიოს საწინააღმდეგო არგუმენტს, უმეტესად სჭირდება მეორე მხარეს გააცნოს მთელი ხელშეკრულება და ამის საილუსტრაციოდ ბოლოს დაუტოვოს მონიშვნის ველი, რომელიც მხარეს ადასტურებინებს პირობების გაცნობას და დათანხმებას. თუკი რომელიმე მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის აუცილებლად გამოკვეთილად უნდა იყოს აღნიშნული. სტანდარტული პირობები ისეთივეა, როგორც ხელშეკრულების დანარჩენი პირობები ისინი აწესებენ დათქმებს და ხელმომწერ მხარეს ბოჭავენ ამ დათქმების ფარგლებში. დამკვიდრებული სტანდარტის მიხედვი უპირატესობა ენიჭება არა პირდაპირ ხელშეკრულების გაბათილებას, არამედ ნამდვილი პირობების დადგენას და აღსრულებას, „FORUM SHOPPING“<sup>179</sup>-ის ჩათვლით; არსებობს ერთ-ერთი ცნობილი ამერიკული გადაწყვეტილება „PartyPokeR“-ის საქმეზე, სადაც სასამართლოსთვის კვლევის მთავარ საკითხს წარმოადგენდა სტანდარტული პირობების აღსრულებადობა. საქმის გარკვეულ პასაჟებს თუ გამოვტოვებთ შედეგის საახით დავინახავთ, რომ გარკვეული თვალთახედვიდან სტანდარტული პირობების განმარტება უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ვიდრე სხვა საკითხები.<sup>180</sup> რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან სამართლის მიზანი არის არა ნორმების გაბათილება, არამედ იმ მინიმუმამდე დაყვანა, რის ფარგლებშიც შესაძლებელია იქნება მისი აღსრულება.<sup>181</sup>

### 8.1 ინტერნეტის საშუალებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

არაერთხელ იქნა ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ სტანდარტული პირობები ყოველთვის წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობებს, ანუ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა და ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს. არ აქვს მნიშვნელობა ტექნიკურად

<sup>179</sup> FORUM SHOPPING-საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის მისთვის სასურველი სასამართლოს არჩევის უფლება, სადაც დავის განხილვა მისთვის ყველაზე ხელსაყრელია

<sup>180</sup> I. Nelson Rose, GAMING LAW REVIEW AND ECONOMICS Volume 13, Number 5, 2009 ©Mary Ann Liebert, Inc. DOI: 10.1089/glre.2009.13501 Winning with Terms and Conditions I. Nelson Rose, 359.

<sup>181</sup> იქვე.

თან ახლავს ხელშეკრულებას, თუ განცალკევებულია, შესაძლოა ხელშეკრულება ზეპირი ფორმითაც იდებოდეს, მაგრამ თვალსაჩინოდ გამოკრული სტანდარტული პირობები ნიშნავს მის ხელშეკრულებაში ჩართვას. ე.წ. ონლაინ ხელშეკრულებების შემთხვევაში საკმარისია, რომ მომხმარებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, წაიკითხოს და გაეცნოს პირობების შინაარსს, სანამ თანხმობას განაცხადებს მასზე.<sup>182</sup>

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით (NJW, 2005, 2543, 2493, Anm Gottschalk) არც თუ ისე მარტივად გასაგები ტექსტის მხარესთან „შეთანხმების“ წინაპირობაა ის, რომ შემთავაზებელი მეორე მხარეს განუმარტავს პირობების შინაარსს და მოქმედების სივრცეს, ან სხვაგვარად გახდება ცხადი, რომ მეორე მხარემ პირობები გააცნობიერა.<sup>183</sup> მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს შემთავაზებლის სტანდარტულ პირობებზე და დუმილი ან შესრულების უბრალო მიღება თანხმობად არ ჩაითვება ამით აიხსნება ის რომ ვებ-გვერდები ხშირ შემთხვევაში არ აძლევენ საიტზე წვდომის უფლებას, სტანდარტულ პირობებზე დათანხმების გარეშე.

როდესაც უშუალოდ ნასყიდობას ეხება საქმე, ინტერნეტ გარიგების დადების შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა სახის გარიგებისას, როდესაც ხდება ერთი და იმავე საქონლის გაყიდვა ერთი და იმავე პირობებით, შემთავაზებელი რა თქმა უნდა იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. ინტერნეტით ვაჭრობისას, სტანდარტული პირობები ავტომატურად არ იძენს სავალდებულო ძალას მომხმარებლისთვის, იქამდე სანამ გამყიდველი არ მისცემს მომხმარებელს მისი გაცნობის უფლებას, დაშვებას ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სანახავად. უმჯობესია, თუ პირობები არ იქნება გაურკვეველი ანდა ძალიან გრძელი, რადგან შესაძლებელია მომხმარებლის დაცვის საკითხის დადგომისას გაბათილდეს ეს პირობები.<sup>184</sup>

## 8.2 პრაქტიკული შემთხვევები

ინტერნეტით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები თავისთავად მოიცავს რისკს, გამყიდველი ყოველთვის ცდილობს თავისი პასუხისმგებლობის შემოსაზღვრას. თუმცა არსებობს არაერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ზღუდავს პასუხისმგებლობის არასამართლიან შეზღუდვას, მათ შორისაა უსამართლო პირობების შესახებ 1977 წლის აქტი (UCTA), გასულ ათწლეულში გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს არაერთხელ მოუწია ისეთი საქმეების განხილვა რომელიც ეხებოდა უსამართლო პირობების შესახებ აქტის გამოყენებას საქმემ, სასამართლო პრაქტიკამ ხაზი გაუსვა მომხმარებლის დაცვის მნიშვნელობის ზრდას. მართალია აქტი არ გვამდევს სტანდარტული პირობების დეფინიციას, ინგლისურმა სასამართლომ აჩვენა, რომ ის ამ ცნებას ფართო განმარტებას აძლევს.

<sup>182</sup> T.Zerres, Principals of the German Law on Standard Terms of Contract, ([www.jurawelt.com](http://www.jurawelt.com)).

<sup>183</sup> ი.კროპპოლერი, გსკ, სასწავლო კომენტარი,პარ.305, თარგმანი: ზ. ჭეჭელაშვილი, 2014,186

<sup>184</sup> Raimund Walch, Electronic commerce, Key aspects of German business law, 245-249, 247.

პრეცედენტული სამართალი მიიჩნევს, რომ აქტი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ერთი მხარის მიერ ცალმხრივად შეთავაზებულ, არამედ მოლაპარაკებულ პირობებზეც.<sup>185</sup>

ილინოისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე *Hubbert v. Dell corp.*,<sup>186</sup> განხილვის საგანს წარმოადგენდა ის თუ რაზე იყვნენ იმხარეები შეთანხმებულნი. სასამართლომ ელექტრონული ბმულის სახით მოცემული საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც გამყიდველის მიერ იყო შეთავაზებული ნამდვილად მიიჩნია, რადგან მას ეწინააღმდეგებოდა გამყიდველი, თუმცა სტანდარტული პირობების ნაწილად მანვე აქცია. ასევე არის არაერთი საქმე იმის შესახებ, თუ როდის მიიჩნევა ელექტრონული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულებაში სათანადოდ ჩართულად და როდის არა; აღნიშნული საკითხი საკამათოა და ხშირად იცვლება მიდგომები მის შესახებ.<sup>187</sup>

საბოლოო ჯამში, ელექტრონული ნასყიდობისას სტანდარტული პირობების ხელშეკრულების ნაწილად ქცევა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული და მისი ნამდვილობისთვის აუცილებელია მხარეს ჰქონდეს წვდომა, გაცნობის შესაძლობა და ამასთან, გარკვევით იყოს ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი დათქმები.

## დასკვნა

განხილულ საკითხთა წრე განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შედგენისას შესაბამისი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ასპექტების გათვალისწინება და ხელშეკრულებაში ასახვა. ევროკავშირის კანონმდებლობის წევრ ქვეყნებში იმპლემენტაციის შედეგად შეიქმნა და დღემდე ვითარდება ერთიანი ბაზარი. არაერთხელ აღინიშნა მისი მნიშვნელობა და ისიც, რომ სწორედ ერთიანი ბაზრის არსებობა წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-ერთ უმთავრესს მიზანს, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. ერთიანი სტანდარტების დაწესება ხელს უწყობს მომხმარებელთა დაცვას, იმის მიუხედავად თუ რომელ წევრ სახელმწიფოში იმყოფება ის. ეკონომიკური უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანა იმ გზით, რომ ხელშეკრულების შედარებით

---

<sup>185</sup> Paul O'Hare, Kemp Little LLP, London, Allocating risk in IT contracts: A review of the case law on the enforceability of limitations and exclusions under the Unfair Contract Terms Act 1977, *Computer Law & Security Review* 2004 Vol. 20; Iss. 6, 466-471, 467.

<sup>183</sup> Dewayne HUBBERT, Elden L. Craft, Chris Grout, and Rhonda Byington, Individually and on Behalf of Others Similarly Situated, Plaintiffs-Appellees, v. DELL CORPORATION, Defendant-Appellant. No. 5-03-0643. August 12, 2005 გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://caselaw.findlaw.com/il-court-of-appeals/1244791.html>

<sup>184</sup> J. M. Moringiello/ W.L. Reynolds, *Electronic Contracting Cases 2005-2006*, survey of the law of Cyberspace.



ძლიერ მხარეს-მეწარმეს დაეკისროს ვალდებულებები და აკრძალვები სტანდარტული პირობების ფორმირებისას, ასევე მომხმარებლის უფლების დაცვაზე მაქსიმალურად ორიენტირებული სამართალი და სასამართლო არის პრიორიტეტული ერთიანი ბაზრის პოლიტიკის პრიორიტეტი.

ევროინტეგრაციული პრინციპები სხვა არაფერია, თუ არა ევროპულ სტანდარტებსა და ფასეულობებზე, პრინციპებსა და მიდგომებზე გადასვლა. ამ პროცესისადმი ორივე მხარეს აქვს განსაკუთრებული ინტერესი. ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოში უნდა ქჰონდეთ ისეთივე კომფორტული ბაზარი, როგორც თავად ევროკავშირის არეალშია. ხოლო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებზე გადასვლით, ჩვენი ქვეყნისთვის ეკომონუკური წინსვლის ერთგვარი გარანტიაა.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება საგარეო-სავაჭრო შეთანხმებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამგვარი ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების გზით ხორციელდება საგარეო-სავაჭრო საქონელბრუნვა. აღნიშნული სახის ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა ტიპის გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სამუშაოების შესრულებასა და გარკვეული მომსახურების გაწევას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის რეცეფციის შედეგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნა სახელშეკრულებო სამართლის საკვანძო ინსტიტუტი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სახით, რაც უდავოა, რომ დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობა უფრო დაიხვეწოს, თუკი გამოყენებული იქნება უცხო ქვეყნების გამოცდილება ამ საკითხებთან დაკავშირებით. ხშირად პრობლემატურია სტანდარტული პირობის ბათილობის საკითხი, მისი კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამობის გამო, რადგან საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ ამ პრინციპს. ნაკლებადაა აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურა, რაც მიუთითებს, რომ ეს სფერო საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ამჟამად სამომხმარებლო ბაზრის განვითარების პროცესში იმყოფება, შესაბამისად, მან ამ სფეროში უნდა განვლოს გზა, რომელიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებს გავლილი აქვთ. აქედან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების გაზიარება, რადგან საქართველოს მომგებიანი გეოსტრატეგიული მდგებარეობა და გლობალიზაცია საშუალებას აძლევს დაიმკვიდროს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები

- ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2005.
- ბზეკალავა ე. /ჭალიძე თ. /ცეცვაძე ა. /გეგენავა დ., ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2014.
- გერაძე რ., კონკურენციის როლი საბაზრო ეკონომიკაში, Forbes Georgia ონლაინგამოცემა, 2015.
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, 2014.  
<http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf>
- თორთლაძე ლ. /გაბრიჩიძე გ. /თუმანიშვილი გ. /ტურავა პ. /ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი 2014.
- კაკოიშვილი დ., ხელმწიფოების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 66-83, 2013.
- კოტცი ჰ. /ცვაიგერტი კ. რედაქტორი: ნინიძე თ., მთარგმნელი: სუმბათაშვილი ე., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი 2000.
- კროფტოლერი ი., რედაქტორი: ჩაჩანიძე ე. /დარჯანია თ. /თორთლაძე ლ., მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ. /დარჯანია თ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014.
- რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), ბოლო დამუშავება: 21 მარტი 2017, <http://www.gccc.ge/>
- სვანაძე გ., საერთაშორისო ბიზნესხელმწიფოებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 38-70, 2015.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016.  
[http://www.economy.ge/uploads/publications/economy\\_450476725899caab552165.56302821.pdf](http://www.economy.ge/uploads/publications/economy_450476725899caab552165.56302821.pdf)
- ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში

- დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოცემა, 122-166, თბილისი 2007.
- *შაფაქიძე ი.*, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული არქივი, 2001-2003  
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-Osamartal--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10---4---4---0-11--11-ka-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.5&d=HASH01e7a12eff4c4c513cade3f6.11.1&gt;=1>
  - *ძლიერიშვილი ზ.* /*ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014.
  - *ჭანტურია ლ.* /*ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001.
  - *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2010.
  - *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014.
  - *ჰარტკამპი ა.*, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 183-218, 2009-2010.
  - *Adarov A./Havlik P.*, Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova and Ukraine, the Vienna Institute for International Economic Studies (wiiw) /Bertelsmann Stiftung, 2016, (corrections - March 2017).
  - *Basil S. Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston*, The German Law of Contract A Comparative Treatise, oxford and Portland, Hart Publishing, Oregon 2006.
  - *Basedow*, in Münchener Kommentar zum BGB, 2016.
  - *Barnes W.R.*, Toward a Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement, Washington law review association, 2007.
  - *Bernd Tremml*, Overview of the German legal system and its role in light of Germany's membership in the European Communities, Key aspects of German business law, Michael Wendier/Bernard Tremml/Bernard Bucker, 2016.
  - *Богуславского М.*, Международное частное право:современные проблемы под ред. 1994.
  - *Богуславский М.М.*, Международное частное право, 204-210, 1998
  - *Canaris*, Gesamtwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff,1990

- *Economic Policy Department of the Ministry for Economy and Sustainable Development of Georgia with support of OECD, Mid Term Evaluation Georgia's SME Development Strategy 2016-2020, 2018.*  
[http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek\\_politika/sme\\_strategy\\_evaluation\\_report\\_31\\_12\\_2018.pdf](http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy_evaluation_report_31_12_2018.pdf)
- *David M. Trubek/Louise G. Trubek, Hard and Soft Law in the Construction of Social Europe: the Role of the Open Method of Co-ordination European Law Journal, Vol. 11, No. 3, 343–364, 2005.*
- *Ezeldin, A. Samer, Abu Helw, Amr, Proposed Force Majeure Clause for Construction Contracts under Civil and Common Laws, Journal of Legal Affairs and Dispute Resolution in Engineering and Construction / 08 Vol. 10; Iss. 3, 124-133, 2018.*
- *Firoozmand, Mahmoud Reza, Zamani, Javad, Force majeure in international contracts: current trends and how international arbitration practice is responding Arb. Int'l, Vol. 33, 2017.*
- *Gillette, Clayton P., Walt, Steven D., The UN Convention on Contracts for the International Sale of Goods: Theory and Practice, The CISG: history, methodology, and construction, 2016*
- *I. Nelson Rose, Gaming Law Review and Economics, Winning with Terms and Conditions ©Mary Ann Liebert, Inc. DOI: 10.1089/gltre.2009.13501, Volume 13, Number 5, 2009.*
- *Jens Eisenschmidt/ Klaus Wälde, International Trade, Hedging, and the Demand for Forward Contracts, Review of International Economics, 15(2), 414–429, 2007.*
- *Lim, C. L., Mercurio, Bryan, International Economic Law After the Global Crisis (A Tale of Fragmented Disciplines), The WTO legality of the application of the EU's emissions trading system to aviation, (A Tale of Fragmented Disciplines), The WTO legality, 2015.*
- *Jaletzke /Henle, M&A Agreements in Germany, 2011.*
- *Joint Report by the English and Scottish Law Commissions, 2005*  
<https://www.scotlawcom.gov.uk/publications/reports/2000-2009/>
- *Joongi Kim, Sub-regionalism, regionalism, trans-regionalism. Implications for economic integration and international trade policies, Asia Europe Journal, 183–196, 2003.*
- *J. M. Moringiello/ W.L. Reynolds, Electronic Contracting Cases, survey of the law of Cyberspace, 2005-2006.*
- *Library Briefing, Library of the European Parliament, Unfair Terms Directive and Common European Sales Law, 2013.*
- *Millie Johnson, Rocket Lawyer Legal Editor, Terms and conditions, 2018.*
- *Michael Schilling, European Law Review vo. 3, 2008.*

- *M. J. Bonell*, Unification of Law by Non-Legislative Means: The UNIDROIT Draft Principles for International Commercial Contracts, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 40, No. 3, pp. 617-633, 1992.
- *Michael Luber/Andrea Stadler*, General Terms of Business, Key aspects of German business law, third edition, Michael Wendier/Bernard Tremml/Bernard Bucker (eds.) 2016.
- *M. Luber*, The Law of Contracts, Key aspects of German business law, 67-81, 2016.
- *Maartje Elshout/Millie Elsen/Jorna Leenheer/Marco Loos/Joasia Luzak*, Study on consumers' attitudes towards Terms and Conditions, European Commission, final report 2016.
- *Ole Lando*, Principles of European Contract Law and UNIDROIT Principles: Moving from Harmonisation to Unification ?, *Uniform Law Review – Revue de droit uniforme*, 123-133, 2003.
- *Patt /Giles*, Stockholders' Agreements Line by Line, 2011.
- *Pietro Sirena/ Yehuda Adar*, Principles and Rules in the Emerging European Contract Law: From the PECL to the CESL, and Beyond, *European Review of Contract Law*, 01 Vol. 9; Iss. 1-37, 4, 2013
- *Paul O'Hare, Kemp Little LLP*, London, Allocating risk in IT contracts: A review of the case law on the enforceability of limitations and exclusions under the Unfair Contract Terms Act 1977, *Computer Law & Security Review*, Vol. 20; Iss. 6, 466-471, 2004.
- *T.Zerres*, Principals of the German Law on Standard Terms of Contract
- *T. Wilhelmsson*, Various Approaches to Unfair Terms and Their Background Philosophies, *JURIDICA INTERNATIONAL XIV*, 2008.
- *Thain*, The E.C. Council Directive on Unfair Terms in Consumer Contracts: A Perspective from the United States, *Consumer Law Journal (C.L.J.)* 2, No.4, 1994.
- *Stefan Vogenauer*, General Principles' of Contract Law in Transnational Instruments, The editors and contributors severally, 2014.
- *Ulf Bernitz*, Swedish Standard Contracts Law and the EC Directive on Contract Terms, *Stockholm Institute for Scandinavian Law 1957-2009*.
- *Raimund Walch*, Electronic commerce, Key aspects of German business law, third edition, Michael Wendier/Bernard Tremml/Bernard Bucker (eds.) 2016.
- *UNIDROIT*, International Institute for the Unification of Private Law, UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016
- *Wolf*, The Law and Practice of Shareholders' Agreements in National and International Joint Ventures: Common and Civil Law Uses, With Multiple Clauses and Forms for the Practitioners, 2014; Model Stock Purchase Agreement with Commentary, Second Edition, 2010.

- *Roberto Bergami*, Managing Incoterms 2010 risks: tension with trade and banking practices, *Int. J. Economics and Business Research*, Vol. 6, No. 3, 324-338, 2013.
- *Robert Alexander Mundell*, The Pure Theory of International Trade: The American Economic Review, *American Economic Association*, 13:36, 2012.
- *Study Group on Social Justice in European Private Law*, Social Justice in European Contract Law: A Manifesto, *European Law Journal*, Vol. 10, 653-674, 2004.

#### სასამართლო პრაქტიკა

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-755-811-2011, 10 სექტემბერი, 2011
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1224-1245-2011, 14 ნოემბერი, 2011
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-938-903-2016, 5 მაისი, 2017
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1064-2018, 12 ნოემბერი, 2018
- JUDGMENT OF THE COURT (CJEU) (Fourth Chamber) 30 April 2014 (\*) case C-26/13
- გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, NJW, 2005, 2543, 2493, Anm Gottschalk.
- ილინოისის შტატის სააპელაციო სასამართლო, Dewayne HUBBERT, Elden L. Craft, Chris Grout, and Rhonda Byington, Individually and on Behalf of Others Similarly Situated, Plaintiffs-Appellees, v. DELL CORPORATION, Defendant-Appellant. No. 5-03-0643. August 12, 2005.

#### ინტერნეტრესურსები

- [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
- [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)
- [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)
- [www.rocketlawyer.co.uk/](http://www.rocketlawyer.co.uk/)
- [www.luptonfawcett.com](http://www.luptonfawcett.com)
- [www.jurawelt.com](http://www.jurawelt.com)
- [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge)
- [www.tcbank.ge](http://www.tcbank.ge)
- [www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)
- [www.ec.europa.eu](http://www.ec.europa.eu)
- [www.scandinavianlaw.se](http://www.scandinavianlaw.se)



- [www.gesetzesweb.de](http://www.gesetzesweb.de)
- <https://europa.eu>
- [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
- [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
- [www.booksc.xyz](http://www.booksc.xyz)